


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინდ ბეჭდ-
ეუბი სიფყვას, ფყუილოდით და ჭიბობით ბუბ-
თის გაფანა ცუღას უჯადბისბაზუ უსაბაგლესია.

შაბათი, 24 თებერვალი. 2018 წ. №40 (8441), გამოცემის მე-100 წელი ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge ღასი 50 თაბირი.

საქართველოდან გაქცევით თქვენ საკუთარი სამოგლო უსხოგოელას ჩაუგღათ ხელში! ④

ღია წარიღი უსხოთუი დაგკვიღრბულ თანამეაგულაებს!

ბერბანია და სოგრანბეტი ჩვენი ბაჭირბების ტალკვესები არიან ②

25 თებერვალი - საქართველოს დაქსებვის ღღა! ⑥

სამოგლოს ჩუმი გუბანებლები ასლა მე საკაუი პარ?! ⑤

„ისლამური სახელმწიფოს“ არს ერთი წაბრი ჩვენს ქვეყანაში არ იმყოფება!

Washington post-ის სტატიას, სადაც საუბარია იმაზე, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ 50-მდე წვერი საქართველოში დაბრუნდა, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ეხმარება. ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში „ისლამური სახელმწიფოს“ წვერი არც ერთი პირი არ იმყოფება. დეპუტატის ცნობით, შესაბამისი სტრუქტურები ძალიან სიღრმისეულად მუშაობენ იმის დასადგენად, რამდენად ადამიანია წასული საქართველოდან „ისლამურ სახელმწიფოში“.

„ჩვენი ციფრები Washington post-ის სტატიაში მოყვანილ მონაცემებს დიდი სხვაობით არ ემთხვევა. გარდა ამისა, ჩვენ პარტნიორი ქვეყნების სადაზვერვო მონაცემებს ვეყრდნობით და ყურადღებას მაქსიმალურად ვაქცევთ იმას, რომ დადგინდეს, „ისლამურ სახელმწიფოში“ კონკრეტულად ვინ იმყოფებოდა და ტერორისტულ ჯგუფებთან კავშირი ვის ჰქონდა. ქართული კანონმდებლობა შევცვალეთ და „ისლამურ სახელმწიფოში“ გამგზავრება, მონაწილეობა და მცდელობაც კი, დასჯადი გაგზადეთ. მონაცემები მეტი სიზუსტით გვაქვს, რამდენი ადამიანია „ისლამურ სახელმწიფოში“ და ვიცით, კონკრეტულად ვინ არის. ჩვენი მონაცემებით, საქართველოში არცერთი ადამიანი არ იმყოფება“, - განაცხადა დეპუტატმა.

სესიაშვილის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები საქართველოში დაბრუნდებიან, მათ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება.

ოსები და რუსები ქართველებზე ისევ ნადირობენ!

ალუფოთება არჩილ ტატუნაშვილის ბარდასვალების ბაბო

ოკუპირებულ ცხინვალში საქართველოს მოქალაქის ბარდასვალების ფაქტს პრემიერ-მინისტრი განცხადებით გამოეხმაურა.

„უბრველეს ყოვლისა, მინდა, უდიდესი მწუხარება გამოეთქვა ცხინვალში მომხდარი უმძიმესი ფაქტის გამო და გულწრფელად მივუსამძიმრო გარდაცვლილი არჩილ ტატუნაშვილის ოჯახს და ახლობლებს. 22 თებერვალს საოკუპაციო რეჟიმმა ჩვენი 3 მოქალაქე - არჩილ ტატუნაშვილი, ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი, ახალგორში უკანონოდ დააკავა. დღეს კი, ცნობილი გახდა, რომ არჩილ ტატუნაშვილი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ამ უმძიმესი ფაქტის შესახებ მყისიერად ეცნობათ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასა და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს. ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და განზრახ მკვლელობის მუხლებით. საკითხის სიმძიმისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვარჩნია საერთაშორისო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით, მოხდეს მკვეთრი რეაგირება და სასწრაფოდ დადგინდეს, რა ვითარებაში დააკავეს ჩვენი მოქალაქეები და გარდაიცვალა არჩილ ტატუნაშვილი, რათა ყველა დამნაშავემ აგოს პასუხი. ამასთან, აუცილებელია, სასწრაფოდ შეიქმნას ადგილზე ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმები, რათა მოხდეს ადამიანის უფლებების ასეთ და სხვა მძიმე დარღვევებზე შესაბამისი რეაგირება. ჩვენ მოვითხოვთ და ყველა საერთაშორისო ბერკეტს გამოვიყენებთ, რომ ახალგორში უკანონოდ დაკავებული ლევან ქუტაშვილი და იოსებ პავლიაშვილი დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ“, - ნათქვამია გიორგი კვირიკაშვილის განცხადებაში.

აუუ-რუსეთის ურთიერთობას ბერბანია „წყავლის“!

თუ რუსეთთან ომის თავიდან ასიღება გვეურს, ნაბოგ საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღება ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოირისხოს

ანაკლიის ქალაქგეგმარებით კონსულტინგზე ბრიტანული კომპანია BUROHAPPOLD ENGINEERING-ი იმუშავებს

„ანაკლია სიტი“ და BuroHappold Engineering-ს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას უკვე მოეწერა ხელი. კომპანია „ანაკლია სიტი“ საერთაშორისო ტენდერში გამოავლინა, რომელიც „ანაკლიის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის“ შესადგენად მიმდინარეობდა.

BuroHappold Engineering-ის წარმომადგენლები უკვე საქართველოში არიან და წინასწარ მოკვლევას აწარმოებენ. სამთავრობო უწყებებთან და ეკონომიკურ ექსპერტებთან შეხვედრის შემდეგ, კომპანიის წარმომადგენლები ანაკლიას ესტუმრნენ. „ანაკლია სიტი“ მენეჯმენტთან ერთად, ექსპერტებმა ანაკლიის პორტის სამშენებლო ტერიტორია, მიმდინარე სამუშაოები და ქალაქ ანაკლიის ტერიტორია მოინახულეს.

„გვექონდა უნიკალური შანსი, დავრწმუნებულიყავით იმ მუსტაბებსა და ტემპში, რასაც ეს შესანიშნავი პროექტი მოიცავს. ვფიქრობთ, ის უდიდეს წვლილს შეიტანს რეგიონის განვითარებასა და ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში. ჩვენ ვმუშა-

ობთ პროექტის ეკონომიკური ზონის კვლევაზე, ინდუსტრიული და ლოგისტიკური მიმართულებებით. ასევე ვკონცენტრირდებით ქალაქის ინტეგრირებულ გენერალურ გეგმაზე, რომელიც ჩართული იქნება ტურიზმი, ბიზნესთა გარემოსა და სხვა დამატებითი ღირებულების მომტანი ფაქტორები“, – განაცხადა პროექტის დირექტორმა რობერტ ვინტერჰეიმმა, ადგილობრივი ქალაქების პროექტების ჯგუფის დირექტორმა.

„ქალაქი ანაკლია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და მწვანე ეკონომიკის პრინციპებით განვითარდება და ის რეგიონში მნიშვნელოვან ბიზნესცენტრი გახდება. აქ განვითარდება ინდუსტრიული პარკი და სხვადასხვა მიმართულება. მონარული ვართ, რომ მსოფლიოში ერთ-ერთ წამყვან კომპანიასთან გვექნება მუშაობის საშუალება. აღნიშნული კვლევა რთვეში უნდა მომზადდეს და პერიოდულად „ანაკლია სიტი“ სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან განაგრძოს შესხვედრებს და კონცეფციის განხილვას“, – განაცხადა



„ანაკლია სიტი“ აღმასრულებელმა დირექტორმა ქეთი ბოჭორიშვილმა.

BuroHappold Engineering-ი მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი კომპანიაა, რომელიც ურბანულ დაგეგმარებაზე, სამშენებლო პროექტებზე, გენერალური გეგმის შედგენასა და ქალაქის განვითარებაზე მუშაობს. კომპანიას განხორციელებული აქვს 600-ზე მეტი პროექტი ბრიტანეთში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. BuroHappold Engineering-ი სხვა-

დასხვა დროს მუშაობდა მუშაობის პორტის კომპლექსის, ლონდონის ჰაიდ პარკის, კალიფორნიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის და სხვადასხვა მიმართულების პროექტებზე.

BuroHappold Engineering-ის ვიზიტი საქართველოში 23 თებერვალს შემაჯამებელი ღონისძიებით დასრულდა, სადაც „ანაკლიის ქალაქგეგმარებითი კონცეფციის“ კვლევის პროცესს და სამომავლო შედეგები განიხილეს. ბრიტანულმა კომპანიამ საკუთარი გამოცდილება წარმოაჩინა.

რა „ლინკოლნ მენეჯმენტ“, ჩვენ ლალიძის წყლები გვინდა!

„ლალიძის წყლები“ დაბრუნების საკითხზე მოლაპარაკებები ქონების ამჟამინდელ მფლობელთან უკვე დაიწყო. ეს ამბავი „კომერსანტს“ თბილისის მერიამ განუცხადეს. მათი ინფორმაციით, ბრენდის მფლობელი, ქართველი ბიზნესმენის მიტროფანე ლალიძის შთამომავლებთან ქონების დაბრუნებაზე კონსულტაციები უკვე მას შემდეგ დაიწყო, რაც ამჟამინდელ მფლობელთან მოლაპარაკება დადებითად დასრულდება.

კონკრეტულად, როგორ და რა ფორმით მოხდება ქონების დაბრუნება, თბილისის მერიაში ამ ეტაპზე არ საუბრობენ. აღნიშნულის შესახებ ვერ საუბრობენ მიტროფანე ლალიძის ოჯახშიც. მისი შთამომავალი თორნიკე ლალიძე აცხადებს, რომ მას შემდეგ, რაც ეს თემა მთავრობის მხრიდან დაანონსდა, ოჯახს არავინ დაკავშირებია.

როგორც ცნობილია, რუსთაველის 24-ში არსებული ფართობი, რომელშიც წლების განმავლობაში ლალიძის წყლების დაგეგმვა იყო შესაძლებელი, შპს „ლინკოლნ მენეჯმენტ ჯორჯიას“ საკუთრებას წარმოადგენს.

საჯარო რეესტრის მიხედვით, კომპანია 2007 წელს არის რეგისტრირებული და მისი მესაკუთრეები არიან: შპს „ვიტი კომპანი“ – 25%; ლინკოლნ

მენეჯმენტ კორპ. „ბელიზი“ – 75%. კომპანიის დირექტორი უკრაინის მოქალაქე ევგენი უსტინოვი. კომპანიას ყოფილი კავფეს ორივე სართული (პირველი სართული და სარდაფი) გაქირავებული აქვს. უნდა სართულზე 130 კვ.მ-ზე ამჟამად ტანსაცმლის მაღაზია Next-ია განთავსებული.

ლალიძის კავფეს ისტორიულ ადგილზე აღდგენის სურვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა დაახლოებით 1 თვის წინათ გამოთქვა და შესაბამისი დავალება თბილისის მერს კახი კალაძეს მისცა.

სოფო ძსოვრელი



გარდაბნის მერიამ 2 ავტომობილი დააკრა!

აუდიტის სამსახურის მიერ გავრცელებული ანგარიშიდან ირკვევა, რომ გარდაბნის მერიამ 2 ავტომობილი დააკრა.

როგორც ოფიციალური ინფორმაციიდან ირკვევა, გარდაბნის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციის დროს, გამგებობის ბალანსზე არსებული ავტომობილები „MITSUBISHI PAJERO 3500“ და „GAZ-31029“ ვერ მოიძებნა.

გარდა ამისა, საგზაო-სატრანსპორტო შემოსევების შედეგად დაზიანებულია 2010 წლის შემდეგ ახლად შეძენილი 3 ავტომობილი.

მათ შორის, WOLSKWAGEN PASSAT 2013 წლის თხვევის ხელშეკრულებით გადაცემული ჰქონდა საქართველოს პარლამენტის წინამოწვევის მაჟორიტარ დეპუტატს. 2 ავტომობილს – KIA RIO-ს, 2012 და 2015 წლებიდან

განკარგავდნენ მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები. „აღნიშნულ პირობებზე მუნიციპალური ქონება გადაცემული ჰქონდათ სარგებლობის უფლებით და წარმოადგენდნენ მატერიალურად პასუხისმგებელ პირებს.

აუდიტის მიმდინარეობის შემდეგ



როდესაც ეს ავტომობილები მუნიციპალიტეტისათვის დაბრუნებული არ იყო. პასუხისმგებელმა პირებმა წარმოადგინეს დოკუმენტაცია WOLSKWAGEN PASSAT – ის დაბრუნების

მოთხოვნით გაგზავნილი წერილების სახით, თუმცა გატარებული ღონისძიებებით შედეგი არ დამდგარა. ნ ერთეული ავტომობილი, რომელიც დაზიანებულია ან არ მოიძებნა, თვითმმართველის არ გამოიყენება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტს მიაღდა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი, ქონების კომპენსაციის მიღების მიზნით, გარდაბნის მუნიციპალიტეტს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები არ გაუტარებია. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მონაცემებით, ბალანსზე აღრიცხული 22 ავტომობილი დაზიანებულია. ინვენტარიზაციის მასალებით, ეს სატრანსპორტო საშუალებები ჩათვლილია ექსპლუატაციისათვის უვარგისად. მიუხედავად ამისა, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ქონება ჩამოწერილი არ იყო, – ნათქვამია ანგარიშში.

აჭარის დელეგაცია ქალაქ პროსლავის აფრიკარეის მუშაობას გაეხსნა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ და ქალაქ ბათუმის მერმა ლაშა კომახიძემ დელეგაციის წევრებთან ერთად ვროცლავის აფრიკარიუმი დაათვალიერეს და მისი მუშაობის სტრუქტურას და ტექნოლოგიას გაეცნენ, კერძოდ კი, აფრიკარიუმის მესვეურთაგან მოისმინეს ინფორმაცია ობიექტის წყალმომარაგების, წყლის განმენდის სისტემებისა და ხელოვნური მიკროკლიმატის შესახებ.



აფრიკარიუმი ქალაქ ვროცლავში 2014 წელს გაიხსნა და იგი ერთ-ერთი უნიკალურია ევროპაში. თითქმის ერთ პექტარ ტერიტორიაზე წარმოდგენილია აფრიკის კონტინენტის მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა. 4000-ზე მეტი მცენარე, ეგზოტიკური თევზების სახეობები და ზღვის ცხოველები, რომელთა ნახვაც სპეციალური ტურასებიდან დაწყებული გვირგვინებიდანაა შესაძლებელი. ოქტომბერში 19 აუზისგან შედგება. აქვე მოწყობილია ორი მ მეტრი სიმაღლის ჩანჩქერი. გარდა ამისა, აფრიკარიუმი აღჭურვილია საკონფერენციო და სასწავლო სივრცეებით, სადაც პერიოდულად იმართება სამეცნიერო ლექციები, შეხვედრები თუ ვორქშოპები.

აფრიკარიუმის მესვეურებმა გამოთქვეს მზადყოფნა ურთიერთ-თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარებისა ქართველი კოლეგებისადმი. უფრო მეტიც, აჭარის მზარდი ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, შეხვედრაზე პოლონურმა მხარემ საინვესტიციო პროექტის ბათუმში შესაძლო განხორციელების გეგმაზეც ისაუბრა.

საქართველო ბიზნესის კათედრის სიპარტივიტი ლიდერთა ათეულში

22 თებერვალს, აშშ-ში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დელეგაციის ციკოლია სიტყვით წარსდგა ქ. ვაშინგტონში სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევების ცენტრში (CSIS) გამართულ კონფერენციაზე, Doing Business ანგარიშის თხუთმეტი წელი: მომავალი გზის შესაძლებლობები (Fifteen Years of Doing Business: Opportunities for Future Directions). საქართველოს, ისაუბრა საქართველოში ბიზნესის კეთების სიმარტივესა და თავისუფალ საინვესტიციო გარემოს შესახებ.

როგორც კონფერენციაზე აღინიშნა საქართველო გამორჩეულად წარმატებული ქვეყნის მაგალითია, რომელმაც თავისუფალი და მოსახერხებელი ბიზნესგარემოს თვალსაზრისით მსოფლიოს წამყვან ათეულში წაიყვანა.



რამდენიმე დღის წინათ ამ ინფორმაციით შეპრულმა – „სამართლიანო უკვე ირმა მილიონმა ადამიანმა დატოვა...“ დაახლოებით ასეთი შინაარსის ფეისბუქ-სტატუსი დავიდე: „ქართველებმა რომ იშვირეს ფეხი და მასობრივად გადაიხვეწენ აქედან, საინტერესოა, საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა და სომხებმა რატომ არ მოიცვალეს ფეხი?“

ამ სტატუსით მინდოდა გამოსაფხიზლებული დებატები გამართულიყო და ყველას, ნა-სულელებსაც და დარჩენილებსაც, ერთობლივად გაგვეანალიზებინა ის სავალალო რეალობა, რომ ეს პროცესი, ანუ ქართველთა მასობრივი განდევნა, სინამდვილეში გახლდათ მტრული და ანტიქართული ძალების მოწყობილი, რათა ხელოვნურად შექმნილი ეკონომიკური კრიზისით გამოწვეული უფლებებზე ტერიტორიებზე უცხოეთში ჩამოყვანილებინათ.

გავოგნდი, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ გვემსჯელა ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხზე და შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი მოგვეძებინა, საპასუხოდ ზოგიერთი ემიგრანტისგან იმდენად არაადეკვატური და ისტერიული კომენტარები წამოვიდა, რომ იძულებული ვაგხდით, პოსტი დროებით გაეუქმებინა, რადგან უკიდურესად დაღლილი ვიყავი და მეორე დღემდე დატოვების შემთხვევაში, მათი ცილისწამების ნიაღვარი ბევრ ადამიანს შეიყვანდა შეცდომაში.

სამაგიეროდ, სტატუსის გაუქმებით გალღობულმა, როგორც ჩანს, იფიქრეს, რომ მათ იერიშებს შეეშინდი და მოზეიმე სახით დააქროლებენ და კოპირებულ ტექსტს, აქაოდა, აგერ, მწერალი და პოეტი ლია რუსიაშვილი რას გვიბედავდა და ნახეთ, როგორ დავაშინეთ და გავაჩუქეთო...

სწორედ ამაში შეცდნენ!
ესა დროს, შესაძლოა, გადამვიწყებოდა კიდევ ტექსტის აღდგენა უამრავი სხვადასხვა საჩქარო საქმით გადატვირთულს, მაგრამ მათგან ამ, პირდაპირი გაგებით, ანტიქართული გამოსდომის გამო, საჭიროდ ჩავთვალე ყველაფერი განზე გადავდო და ამჯერად, უკვე ანალიტიკურად მივბრუნებოდი შეჩერებულ თემას, რადგან მწარე გამოცდილება გვკარნახობს, რომ ძირმაგარა დროზე თუ არ გაიკვეთა, აუცილებლად მიძიმე შედეგს გამოიწვევს.

აქვე დავაზუსტებ: საბედნიეროდ, პირადად ვიცნობ და ვაფასებ ჩემს სამეგობროში მყოფ მრავალ ღირსეულ, გონიერ და მოაზროვნე ემიგრანტს, რომელთაც ძირძირობამდე გააზრებულნი და გათავისებულნი აქვთ ის კატასტროფული შედეგები, რაც გამოიწვია ქართველთა მასობრივმა განდევნამ და რის გამოსწორებასაც, სავალალოდ, ალბათ, საუკუნეები დასჭირდება.

ეს ადამიანები პირანათლად აღიარებენ თავიანთ ნებსით თუ უნებლიე შეცდომას და სხვათა შორის, მათი ნაწილი უკვე დაბრუნდა კიდევ სამშობლოში. მეტიც, მათ გულმხურვალედ მოუწოდეს უცხოეთში დარჩენილ თანამემამულეებს, რომ სასწრაფოდ დაბრუნებულიყვნენ მიტოვებულ მიწა-წყალზე... იქვე ესეც აღნიშნეს: მიუხედავად იმისა, რომ აქ ისევ ის გასაჭირი და პრობლემები დახვდათ, რის გამოც წავიდნენ თავის დროზე, მაინც მწარედ ნანობენ იმ ყოველ ნუთს, რომელიც დაკარგეს უცხო მიწაზე გადახვეწისას, რადგანაც მიხვდნენ, რომ ამქვეყნად არაფერი არ ღირს სამშობლოს დაკარგვისა და საკუთარ ფეხებთან გაუცხოების ფასად!

უცხოეთში დარჩენილი პატრიოტული სულისკვეთების და ცნობიერების ემიგრანტები წარმოადგენენ იმ დიდ და ერთიან ძალას, რომლისთვისაც საქართველო კვლავაც „მე მიჩვევინა სალი კლდე“ რჩება და ისინი, ადრე თუ გვიან, შეჭველად დაუბრუნდებიან მიტოვებულ კერებს. ამიტომ, მათი ტკივილი და უამრავი განსაცდელის დათმენა უცხო მხარეში – ჩვენი ტკივილიცაა და პირად ლოცვებში შევთხოვეთ უფალს, რომ ეს ნატვრა რაც შეიძლება, მალე განუხორციელდეთ და მშვიდობით დაბრუნდნენ სამშობლოში.

ახლა კი მივუბრუნდეთ ემიგრანტთა აგრესიულ კატეგორიას, რომელთა მიერ ყოველნუთიერად შემოგდებულ პროვოკაციებსაც ვუნწოდებ „ძირმაგარის დროზე გაკვეთის აუცილებლობა“ და რომლებსაც ზემოხსენებული, საღად მოაზროვნე ემიგრანტები თავადვე უპირისპირდებიან ხოლმე მამხილებელი კომენტარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეორე კატეგორიისგან წარმოიქმნა რაღაც კლანური დაჯგუფება (რაც, შესაძლოა, ზემოთ ნახსენებ ანტიქართული ძალების საცეცხლად წარმოადგენდეს), რომლის ფართული მიზანია, „არამკითხვების“ განეიტვინება, რათა ჩვენი პროტესტით ხელი არ შევეშალოთ ქართველთა

საქართველოდან გაქცევით თქვენს საქუთარს სამშობლო უსსოპოპელაბს ჩაუბღეთ ხელში!



ვინც აქედან გარბის, სხვაგანაც აუცილებლად შეექმნება გასაქცევი მდგომარეობა, ვინაიდან, ხელოვნურად შექმნილი მსოფლიო მიგრაციული პროცესები უკვე ძალაშია და მანამდე გაგრძელდება, სანამ ომებით, შიმშილობით, ძალმომრეობით შეჭირვებული და თავისი მიწა-წყლიდან ოტებული ხალხები, ერთი გაწბილებიდან მეორე გაწბილებამდე არ გასავათდებიან და ყველაფერს არ დაყაბულდებიან, ოღონდაც კი შვება და მშვიდობა მიეცეთ...

უცხოეთში გადინებას და მით უფრო, უკვე წა-სულელები უკან არ შემოვარდნით!

ამას თავიდანვე ვხვდებოდი, თუმცაღა, მანამდე არაერთხელ გამაფრთხილეს კეთილისმუსურებელმა, რომ თავი ამერიდებინა ამ უაღრესად საეჭვო ფსიქიკისა და მენტალობის მქონე ემიგრანტთა დაჯგუფებისთვის, რომელიც შეთანხმებულივით, სვავით ერთდროულად თავს ესხმის ყველას, ვინც კი გაბედავს და კრიზისს დაძრავს ქართველთა მასობრივ და უსწრაფეს განსახლებაზე და რეგიონების მკვიდრი მოსახლეობისგან დაჯიშვით დაჯგუფების წევრთა დამახასიათებელი ხელწერაა მყისვე და თანაც ისე, რომ არანაირ არგუმენტს არ მოუსმინონ – ისტერიული ნივლი-კვილით გამოცვივდნენ ყოველი მხრიდან და მოთქმა-გოდებით გაუსვან ხაზი თავიანთი განამებული მდგომარეობის დაუფასებლობას და ჩვენგან იმ „სიკეთის“ დაუნახაობას, რომ თურმე არაფერი გამოგზავნილი ფულით არსებობდა და არსებობს დღემდე სარქველთა ბიუჯეტით და რომ, თურმე, მათი წყალობით გადავრჩენილვართ შიმშილით სიკვდილს! ასეთი ფსიქოლოგიური იერიშები, სხვათა შორის, ბევრს აყრევინებს ფარხმალს და უმეტესად, ვეღარც ბედავენ, ამ ტაბუდადებულ თემას შეეხონ.

ამიტომ, საჭიროდ ვთვლი უშუალოდ მივმართო ამ კლანის წარმომადგენლებს: ჩვენო ჯერ კიდევ თანამემამულეებო, რამდენადაც აშკარაა, რომ ქარს მიაქვს ჩვენი შვილები, ამიტომ, პირველ რიგში, თქვენი ოთახის კედელზე წაანერეთ, რასაც ახლა გეუბნებით და ყოველ დილა-საღამოს ნაიკითხეთ: თქვენი გზავნილებით „გამდიდრებული“ საქართველოს ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ მოხმარდება არც სანარმოების განვითარებას, არც პენსიების და ხელფასების გაზრდას, არც მოხუცთა და ბავშვთა სახლებს, არც უპოვართა დაპურებას, არც დევნილთა დაბინავებას, არც... არც... არც... და თუ, მაგ „თქვენს ფულს“ ოჯახის წევრების გარდა, ის მასონ-მაფიოზები იჯიბავდნენ, ვინც მანდეთ

გადაგამისამართათ, მაშინ ამ დაუნერელ მორიგებაში ჩვენ, აქ დარჩენილი ქართველები, რა შუაში ვართ?!

რას გვამუნათებთ?! რას გვამადლით?! ვალების გასასტუმრებლად და შვილებისთვის ბინებისა და მანქანების საყიდლად თუ მიაჩვენებთ აქაურობა, ჩვენგან რატომღა მოითხოვთ გმირის ორდენს?!

იქნებ ეგ ორდენი იმ ოჯახებს უფრო ეკუთვნით, რომლებსაც, პირდაპირი გაგებით, თქვენზე მეტად უჭირდათ (როგორც მაშინ, ისევე ამჟამადაც), შიოდათ, სციოდათ, სტიკოდათ, ვალბეშიც იხრჩობოდნენ და საქართველო კი მაინც არ მიატოვეს, მითუმეტეს, ძალზე ხელსაყრელი შეთავაზების მიუხედავად?!

მაგალითი გნებავთ? იცნობდეთ – ასმათ მაჭავარიანი, შვიდი შვილის დედა, რომელიც უმძიმეს წლებში განაცხადა უარი ამერიკაში წასვლაზე და იქაურ კეთილმოწყობილ ცხოვრებაზე. დარჩა აქ – ღვთისადმი რწმენით და მინდობით და გაძლო კიდევ, ცხადია, უფროსივე შვილებით! კიდევ გნებავთ მაგალითი? თავად მე და ჩემმა მეუღლემ იმავე უმძიმეს წლებში, ვალბეშია და პრობლემებით დახუშმულვებმა, უარი განვაცხადეთ კანადაში კერძო, არასამთავრობო მინვებაზე, სადაც ქართული გაზეთისა და კულტურული ცენტრის დაარსებას გვთავაზობდნენ. და რატომ ვთქვით უარი იქ კეთილმოწყობილ ცხოვრებაზე? იმიტომ, რომ განვსაზღვრეთ – აქ საქართველოს დავაკლდებოდით, იქ კი ჩვენი შვილები, ცნობიერებითა და მენტალობით, სამუდამოდ გარდაიქმნებოდნენ არაქართველებად! აი, ამ არჩევანისთვის არც მე, არც ასმათს და არც მრავალ აქ დარჩენილ პატრიოტს, თქვენგან განსხვავებით, არ მოგვითხოვია გმირის ორდენი!

ისევ ვიმეორებ: საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ ნებსით თუ უნებლიეთ, თქვენი ჩვენდამი დაპირისპირება ეროვნულ განხეთქილებას ემსახურება და იქნებ, ვერც კი ხვდებით, რომ ამით მტრის ნისქვილზე უშვებთ წყალს?! აბა, დააკვირდით: თქვენ რომ ნეგატიურ-

ოპოზიციურ ძალად არ ჩამოყალიბებულიყავით და თუნდაც სიტყვიერად მხარი აგებათ სამშობლოში დარჩენილთა მოწოდებისთვის და ბიბლიური ერივით ერთმანეთისთვის გექადაგათ სამშობლოში დაბრუნება, მაშინ ჩვენი ყიჟინა აღარ დაგჭირდებოდათ. მაგრამ თქვენი მთავარი პრობლემა თქვენმავე საბედისწერო არჩევანმა განაპირობა, რაც თავადაც შესანიშნავად იცით, მაგრამ არ გინდათ, რომ სხვებმაც გაიგონ, თუმცაღა, რა დიდი გამოცნობა სჭირდება იმას, რომ უკვე აღარც აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?!

დიდი ილიასი არ იყოს, მართლაცდა, „ფენი იშვირეთ“ და ისე გადაიხვეწეთ აქედან, რომ უკან მოხედვაც აღარ გსურთ?! რომ უკვე მშვენივრად მოერგეთ უცხოეთს და იქაურები გახდით სულითაც და ხორცილთაც და აღარ გსურთ, აღარ მოგწონთ „დახავებული“ და „გამოქცეული“ დროინდელი ქართული აზროვნება და ტრადიციები?!

აი, ესაა ის მთავარი მიზეზი, რის გამოც ასე გააფრთხილეთ დაგვესხმით-ხოლმე თავს აქ დარჩენილებს, თუმცაღა, ისიც ზუსტად ვიცით, რომ თუ მოხდა საოცრება და ქვეყანა ერთბაშად აყვავდა, მაშინვე გულაჩქროლებული გამოიქცევით „საყვარელი სამშობლოსკენ“ და თვითმფრინავის ტრაპიდან ჩამოსვლისთანავე კამერების წინ დაეფხობით მიწაზე საამბორებლად.

თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რომ მამულ-ლი მხოლოდ მაშინ არ უნდა გიყვარდეთ, როცა ის დაღვინილი და წელში გამართულია, არამედ, მაშინაც (და ასამადაც!), როდესაც იგი მშინერი, დაპყრობილი და დაუძლურებულია.

თქვენგან განსხვავებით, ის ღირსეული ემიგრანტები, რომლებზეც ზემოთ ვისაუბრე, შინაგანად ყოველდღიურად, ყოველნუთიერად, მართლაც გულით და ცრემლით ემზადებიან სამშობლოში დასაბრუნებლად და საღად აფასებენ იმ საშიშროებას, რაც მათი გადახვეწით ანტიქართულმა ძალებმა მოუწყვეს საქართველოს. მათ ჰყოფნიან გამბედაობა, რომ ამგვარ ემიგრაციას უწოდონ ჭაობი, რომელმაც დაუნდობლად ჩაითრია და გულწრფელად და მხურვალედ ნატრობენ ამ ჭაობიდან თავის დაღწევას... ცხადია, დედაღვთისმშობელი თავისი წილხვედრი ქვეყნის ერთგულებს არ დატოვებს უნუგუმოდ და ისინი აუცილებლად დაუბრუნდებიან ჩამქრალ კერებს!

თქვენ კი რით განუგემოთ? სანამ ჯერ კიდევ ჯანმრთელები ხართ, თქვენი კერიები მანამ თუ დაგელოდებიან, თორემ მოხუცს, სნეულს და დაუძლურებულს უკვე გაუცხოებელი ოჯახის წევრები ყველაზე უკეთეს შემთხვევაში მოხუცთა თავშესაფარში გიკრავენ თავს. აი, ესაა ის მწარე რეალობა, რაც გარდაუვალად გელოდებათ და რისი ფაქტებიც, სამწუხაროდ, უკვე მრავლად არსებობს!

იქნებ, აწი მაინც მოისაზროთ, რომ ვინც აქედან გარბის, სხვაგანაც აუცილებლად შეექმნება გასაქცევი მდგომარეობა, ვინაიდან, ხელოვნურად შექმნილი მსოფლიო მიგრაციული პროცესები უკვე ძალაშია და მანამდე გაგრძელდება, სანამ ომებით, შიმშილობით, ძალმომრეობით შეჭირვებული და თავისი მიწა-წყლიდან ოტებული ხალხები, ერთი განხლებიდან მეორე განხლებამდე არ გასავათდებიან და ყველაფერს არ დაყაბულდებიან, ოღონდაც კი შვება და მშვიდობა მიეცეთ...

სანამ ღმერთს არ შეჰქალაღდებენ „გვიშველო“ და რამდენადაც, ღმერთი და ეშმაკი ერთდროისგან ვერ განურჩევიათ, მათ ღმერთს უფრთხობთ ეშმაკის ძე ანტიქრისტე! ასეა ნაწინასწარმეტყველები სულიწმინდით განბრძნობილ წმინდანთაგან და ასეც აღსრულდებიან.

აი, სწორედ ეს იქნება მიზეზი იმ სიტუაციის გარდუვალობისა, რაც განპირობებულია თქვენგანვე სამშობლოში დასაბრუნებელი გზის მოკვეთით და იმ უცხოელთა „გაჯახების“ ნება-უნებლიე ხელშეწყობით, ვისაც ასე უბრძოლველად დაუთმეთ თქვენი ადგილები!

აქ, უკვე, მესმის გაანჩხლებული შეძახილები: „რას მიქვია, გზა მოვიჭერით, ჩვენ ხომ ჩვენი ოჯახებისა და შვილების გამოსაკვებად შეველიეთ საქართველოს...“. მაგრამ, ფაქტი ისაა, ჩემო საბედისწეროდ შეცდენილთა თანამემამულეებო, რომ ვინც აქ თქვენი ადგილი უკვე დაიკავა, იმ უცხოეთში მდებარე აწი ვეღარაფერს დააკლებთ, ისინი აქედან წამსვლები ცოცხალი თავით აღარ არიან და რომ ჩვენ, აქ დარჩენილები, თანდათან ვხდებით „უცხონი საკუთარ მამულში“!

დაიხ, ჩემო მოტყუებულო თანამემამულეებო, ნაცვლად იმისა, რომ აქ ერთობლივად გაგვეტანა ერთმანეთი და ეს პანია საქართველო ისე გავგვეცხო, რომ უცხოელები კი არა – ნემსიც არ ჩატეულიყო ჩვენს შორის, მაშინ

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნი ბჭირსა“...

1921 წლის თებერვალში ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული, ნაციონალური საქართველოს დაპყრობა ჯერ-ჯერობით სრულყოფილად ჯერ კიდევ არ არის შეფასებული. ბუნებრივია, ბოლშევიკური მმართველობის პერიოდში ისტორიკოსები თუ პოლიტოლოგები ამ მნიშვნელოვან მოვლენას, გასაგები მიზეზების გამო არასწორად წარმოადგენდნენ. იმედი გვქონდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, 25 თებერვლის პერიუტივებს შეძლებისდაგვარად გააანალიზებდნენ და სათანადო დასკვნებსაც გამოიტანდნენ, მაგრამ ეს არ მოხდა. კიდევ უფრო არასწორად წარმოდგა ხსენებული მოვლენები. თუ ადრე დემოკრატიული, დამოუკიდებელი საქართველოს მებრძოლებს უკიდურეს ნაციონალისტებს უწოდებდნენ, ამჟამად ბევრი ვაიისტორიკოსი მათ რუსეთუმებს უწოდებს და ბოლშევიკებთან კავშირში ადანაშაულებს.

— ვინაიდან ბაქოს ნავთობი იმჟამად რუსეთისთვის მთავარი ენერგეტიკული წყარო იყო, მან, უპირველესად, აზერბაიჯანის

დაპყრობა განიზრახა. ამ დაუოკებელმა სწრაფვამ აზერბაიჯანელი ხალხი დიდად დააზარალა. ამ ქვეყნის ანექსიას სომხეთის დაპყრობაც მოჰყვა. ჯერი საქართველოზე დადგა. იმდროინდელი საერთაშორისო ვითარება იმის შესაძლებლობას არ იძლეოდა, რომ ვინმეს საქართველო გარედან დაეცვა, ხოლო საკუთარი ძალებით ბოლშევიკური არმიების შემოტევას ქვეყანა წინ ვერ აღუდგებოდა. ვინც ფიქრობს, რომ ურიცხვ მონაწილეებს განკარგავდა შეიძლება, მას, როგორც იტყვიან, „ზედა სართულზე“ ყველაფერი მოწესრიგებული არა აქვს.

ისინი, ვინც ამტკიცებს, რომ შესაძლებელი იყო საქართველოში შემოჭრილი რუსეთის არმიების დამარცხება, რბილად რომ ვთქვათ, სამხედრო საქმის უმეცარნი არიან.

თანამედროვე ზოგი ვაიისტორიკოსი და ცრუსამხედრო ექსპერტი დისკუსიასაც მართავს — იყო თუ არა იმჟამინდელი მთავრობა პატიოტი, აცნობიერებდა თუ არა შექმნილ ვითარებას? სწორედ ამ საკითხების გარკვევას ეძღვნება წინამდებარე სტატია.

მოკლებული ვართ, თუ სასწრაფოდ არ მოხდება ფრონტის ხაზის შემცირება, ანუ თუ თბილისს არ დაეცვივებთ, სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით“.

ამ მომენტს ასე იხსენებს ჟორდანისას ადიუტანტი კოტე იმნაძე: „...რეზიდუმი მოზრდილ ოთახში თავი მოეყარა დამფუძნებელი კრების უმრავლესობას, მისეულსთანვე თავმჯდომარე სიტყვა აიღო, მან გააცნო დამფუძნებელი კრების წევრთა ჩვენი ჯარების უკან დახვევის და თბილისის დატოვების აუცილებლობა იმ სახით, როგორც ეს მთავარსარდალმა გადაწყვიტა და დასძინა, რომ უკან დახვევა დაინწყება ღამის 12 საათზე...“

ამ ამბავმა საერთო ჩოჩქოლი გამოიწვია. დამსწრეთა შორის პირველი სიტყვა აიღო ვეშაპელმა და გაოცებულმა ჰკითხა მთავრობის თავმჯდომარეს — თუ ვინ გაბედა, ვინაა აზრია დედაქალაქის დატოვება.

— ასეთია მთავარსარდალის ურყევი გადაწყვეტილება, თუ ეს არ მოგწონთ, მას გადაყენებთ და თქვენ დაგნიშნავთ, ან სხვა ვინმეს, ვისაც ინებებთ — მიუგო მთავრობის თავმჯდომარემ. გასურებულ თავს თითქოს ცივი წყალი გადაევლო, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი, ვეშაპელი ჩაჯდა“.

რუსეთის თითოეულ არმიას თავისი მიზანდასახულობა ჰქონდა. მაგალითად, ულობას დავალებული ჰქონდა, უბრძოლველად გაევილო ქუთაისი, ზეკარის უღელტეხილი, ადიგენი, გოდერძის უღელტეხილი და დაბანაკებულიყო ბათუმის შემოგარენში, რათა თურქეთის ჯარებისაგან ბათუმის განთავისუფლებაში მონაწილეობა მიეღო.

იმ ზამთარს გოდერძის უღელტეხილზე 4 მეტრის სიმაღლის თოვლი იდო. სამხედრო ექსპერტები ულობას გადასვლას ამ უღელტეხილზე ალპებში სუვოროვის ლაშქრობას ადარებენ.

ლენინს საქართველოს დაპყრობა ინტერნაციონალური მოვალეობის სამოსელში სურდა, შეეფუთა. ამ მიზნით შექმნა საქართველოს რევკომი 1921 წლის 16 თებერვალს. თითქოს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა აჯანყებულთა დასახმარებლად წითელ არმიას დახმარება სთხოვა. თუმცა წითელმა არმიამ საქართველოს საზღვრები 1921 წლის 12 თებერვალს გადმოლახა. პირველ ხანებში ეს ომი საქართველო-სომხეთის კონფლიქტად მოინათლა.

როგორც ცნობილია, ადრე შექმნილი რევკომის თავმჯდომარე იყო ფილიპე მახარაძე, მოადგილე — ბუღუ მდივანი. კრემლი თვლიდა, რომ ორივენი საქართველოს დაპყრობის საქმეში უარყოფით როლს შეასრულებდნენ. თებერვლის მოვლენებამდე რამდენიმე თვე ადრე ორივენი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან, მახარაძე მოსკოვს გაიწვიეს სამუშაოდ, ხოლო მდივანი — თურქეთს, დიპლომატიური მისიის შესასრულებლად. თუმცა ახლად შექმნილი რევკომის (1921 წლის 16 თებერვალს) შემადგენლობაში დაუსწრებლად კვლავ შეიყვანეს ისინი. ორივე უდადესი ავტორიტეტით სარგებლობდა ქართველ ბოლშევიკებში.

მახარაძე 1921 წლის 6 მარტს დაბრუნდა საქართველოში, ხოლო მდივანი — უფრო გვიან. აი, როგორ გამოხატა მახარაძემ თავისი უკმაყოფილება წითელი არმიის საქართველოში შემოჭრის გამო:

„1921 წლის დამდეგს, ესე იგი საქართველოს გასაბჭოების მომენტში, აქ ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მდგომარეობა უაღრესად სავალალო იყო... და მოხდა ისე, რომ როცა წითელი ჯარების შეტევა დაიწყო, ამ შეტევების მიზანსა და განზრახვას საქართველოში არც ერთმა უჯრედმა კი არა, პარტიის არც ერთმა წევრმა სრულიად არაფერი იცოდა... ამრიგად გამოვიდა შემდეგი: ჯერ ერთი, საქართველოს საზღვრებში წითელი ჯარების შემოსვლამ და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებამ გარედან დაპყრობითი ხასიათი მიიღო, რადგან ამ დროს აჯანყების დაწყება არც უფიქრია ვინმეს.“

მეორე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს ადგილზე არ აღმოჩნდა არც ერთი პარტიული უჯრედი და არც ერთი პარტიული ცალკეული წევრი, რომელთაც უნარი ექნებოდათ, მოეწყოთ ხელისუფლება, და, ცხადია, ამ საქმისთვის მეტწილად ხელი უნდა მოეკიდათ საეჭვო ან პირდაპირ დანაშაულებრივ ელემენტებს. აი, სად არის ჩვენი პირველი ცოდვა, სად არის ფესვი ბოროტებისა.

25 თებერვალი - სამართავლოს დაქსევის დღე!



ტილიამაშნებამ „კავკასიით“ ხშირად გამოდის სამხედრო ექსპერტი თავდგირიძე და გულუბრყვილო მაყურებელს ასე მოძღვრავს: იმჟამინდელმა მთავრობამ ვერ უზრუნველყო ქართველი ხალხის მობილენება, თუმცა ამის შესაძლებლობა არსებობდა და მომავალ თაობას დაუტოვა ძნელად მოსაგვარებელი პრობლემა — ბრძოლა დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. სამწუხაროდ, დღეს ამ მოსაზრებას ბევრი იზიარებს.

როგორც ცნობილია, წითელმა არმიამ სასტიკად დამარცხა იმ დროისთვის სახელგანთქმული გენერლები — დენიკინი, კოლჩაკი, ვრანგელი და სხვები; წარმატებით მოიგერია საკმაოდ სოლიდური ინტერვენცია.

მსოფლიოს თვალსაჩინო სამხედრო ექსპერტები ასე აფასებენ იმჟამინდელ ქართულ ჯარს: საქართველოს ჰყავდა განსწავლული გენერლები, მაგრამ ჯარისკაცები ვერ აკმაყოფილებდნენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს. ამგვარი შეფასება სინამდვილეს შეეფერება, ვინაიდან ახლად შექმნილი სახელმწიფო მოკლე დროში ვერ მოახერხებდა ჯარისკაცების განვრთვას. რუსულ არმიებს კი ამ მხრივ უპირატესობა ჰქონდათ — ისინი სამოქალაქო ომში გაინერტნენ, გამოცდილებაც მიიღეს.

ორი დაპირისპირებული ჯარიდან უპირატესობას ანიჭებენ იმას, ვისაც მეტი ჯარისკაცი ჰყავს, ვისაც მეტი მალაი ხარისხის სამხედრო ტექნიკა აქვს. უპირატესობის მინიჭებაში მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამხედრო ხელმძღვანელთა მომზადების დონე, ჯარისკაცების განვრთვილობა და საბრძოლო სულისკვეთება. ჩამოთვლილი ფაქტორებიდან ვერც ერთში ქართული ჯარი ვერ უთანაბრდებოდა წითელ არმიას. შეიძლება ვინმე შემომედავოს და მიიხრას — „საბრძოლო სულისკვეთებაშიცო?“ რეალობა ამ კუთხითაც ჩვენსა და სასარგებლოდ როდი მიედინება. აქ ფსიქოლოგიური ფაქტორია გასათვალისწინებელი. წითელარმიელი იმ სულისკვეთებით იყო განმსჭვალული, თითქოს ის ინტერნაციონალურ მოვალეობას ასრულებდა, რათა ქართველი ხალხი ეხსნა მტარუნებელი ბურჟუებისა და ხალხის მწაგვრელებისაგან, აგრეთვე მას ღრმად სწამდა, რომ იყო უძლეველი სახელმწიფოს ჯარისკაცი, რომლის დამარცხებელი ქვეყნად ძნელად მოიპოვება. რა გინდ დიდი ფსიქოლოგიც იყოს, სამოცილოგრაფიან მოკრივეს საბრძოლო სულისკვეთებით ვერ განაწყობს კლიჩოსთან რინგზე საბაქროდ.

როდესაც 1920 წლის დასაწყისში მე-11 არმიის ნაწილები მოსინჯვის მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ, მთავრობამ დეზინფორმაცია გაავრცელა, თითქოს აზერბაიჯანი დაგვესხა თავს. ამ მოვლენამ ქართველი ჯარისკაცები ძლიერ აღაშფოთა — როგორ გაგვიბედა თავდასხმაო. ამ აღშფოთებას სხვანაირად გამოთქვამდნენ, მაგრამ კორექტულობას ვიცავდამან დიდი გავლენა იქონია საბრძოლო სულისკვეთებაზე და მე-11 არმიის შენაერთები სულ მალე გარეკვს და ახლა უკვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლები. მაგრამ ქართველ ჯარისკაცებს აოცებდათ რომ შეტევისას მხოლოდ მკვდარ რუს ჯარისკაცებს ნახულობდნენ.

ქართველი სამხედროების გარკვეულ ნაწილში მერყეობა შეიმჩნეოდა — ბოლშევიკებისკენ იხრებოდა. ნოე ჟორდანიამ ამგვარი კატეგორიის ხალხს რუსეთუმების ეძახდა. იგი მეფისდროინდელ ზოგ ოფიცერს და გენერალს ბოლომდე არ ენდობოდა. მისი დასაყრდენი იყო სახალხო გვარდია. ეს ის

გვარდია გახლავთ, რომელმაც ამიერკავკასიის მთავარი არსენალი გატეხა და იქიდან გამოტანილი სამხედრო აღჭურვილობით ქართული არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი მომარაგა.

იმ დროისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალები დაახლოებით ორმოცდახუთი ათასი სამხედროთი განისაზღვრებოდა. მერწმუნეთ, ამაზე მეტი ოდენობის მობილენება და შენახვა ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოს არ ძალუძდა.

ქვეყანაში არსებული ყველა ჯარისკაცის ჩაბმა რომელიმე ფრონტის მიმართულებით შეუძლებელია, ვინაიდან ჯარისკაცები ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე არიან დისლოცირებული ენები და რაკრებულ სამხედრო სამსახურს ეწვიან. რაც შეეხება მე-11 არმიას, რომლის შემადგენლობაში 42 ათასი სამხედრო ირიცხებოდა, მთელი შემადგენლობით გადმოვიდა შეტევაზე. ამას გარდა საქართველოს დასაპყრობად შემოვიდნენ მე-8, მე-9, მე-13 არმიები, სამოქალაქო ომის გამორების — ბუდიონისა და ულობას კავალერიის ნაწილები (თითოეული მათგანი 5000 კავალერისტს ითვლიდა). ბუნებრივია, ეს მრავალრიცხოვანი არმიები საქართველოს დასაპყრობად. მაგრამ ლენინი საქართველოს საკითხს მეტად ფრთხილად ეკიდებოდა. ეს ნათლად ჩანს მის წერილებსა თუ გაგზავნილ ტელეგრამებში. მას სურდა, როგორმე შეენიღბა საქართველოს დაპყრობა. დაპყრობის პროცესი დიდხანს არ უნდა გაგრძელებულიყო, მოზღვავებული დიდი ძალა მალე უნდა გაეტეხა საქართველოს ჯარის ნინაღმდეგობა და ნაკლები მსხვერპლი გამოეწვია. საერთოდ, რუსეთ-საქართველოს ომში საქართველოს მხრიდან ბრძოლებს მხოლოდ პროტესტის ნიშანი უნ-

და ეტარებინა. თუმცა ამ ბრძოლებში ქართულმა ჯარმა ცალკეულ წარმატებასაც კი მიაღწია. ბევრ ადგილას ალყაც გაარღვია და ბრძოლის ერთ ეპიზოდში ათასი ტყვეც კი იგდო ხელთ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: ზოგი გვიმტკიცებს, რომ იუნკრებმა (სარდალი — პოლკოვნიკი ჩხეიძე) ქართულ ჯარს სირცხვილი ჩამორეცხესო. თუ ვინმეს ჰგონია, ასორმოდებათი, თუნდაც ორასი იუნკერი მოახერხებდა ათასი ტყვის ხელში ჩაგდებას ან 90 კილომეტრზე გადაჭიმული ფრონტის მრავალი დღის განმავლობაში გამაგრებას, ძლიერ ცდებო.

ზოგი იმის თქმასაც არ ერიდება, ჟორდანიამ დაფხვილი მე-11 არმიაც კი ვერ მოიგერიაო. არადა, ამ არმიას ბრძოლების გამომდევლების მრავალწილიანი სტაჟი ჰქონდა. ცნობისათვის: თბილისის შემოგარენს იცავდნენ სახელგანთქმული გენერლები: ჯინჯიხია (კახეთის მიმართულებით), მახინაშვილი (სოღანულდის მიმართულებით), ანდრონიკაშვილი (კოჯრის მიმართულებით), გედევანიშვილი (ბორჩალოს მიმართულებით) და სხვები.

როდესაც მთავარსარდალმა გიორგი კვინიტაძემ ნოე ჟორდანიას განუცხადა, საჭიროა, თბილისის დატოვებაო, მთავრობის თავმჯდომარემ გაიკვირვა და შეეკამათა: ქართულ ჯარს გარკვეული წარმატებები აქვს, მებრძოლები ამით შთაგონებული არიან და ახლა ფრონტის მოხსნა და უკან დახვევა უარყოფით გავლენას იქონიებს მათ საბრძოლო სულისკვეთებაზეო. მაგრამ მთავარსარდალი თავის მოსაზრებას უტყუარი არგუმენტებით ამტკიცებდა: „მე-11 არმია ახალ-ახალ შევსებას იღებს ყირიმის ფრონტიდან გამონთავისუფლებული სამხედრო ძალებით, ჩვენ კი ამგვარ შესაძლებლობას

მირზა გელოვანი: გაუმარჯოს სიკვდილშიაც არღანებებს!



აქედან დაიწყო ყველა ჩვენი მარცხი თუ ნახევრად მარცხი საქართველოში საბჭოთა ხელი-სუფლების მშენებლობის საქმეში.

უნდა ვაღიაროთ სიმართლე: ქართველ მენშევიკებს – ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით, ხოლო ქართველ ბოლშევიკებს – ფილიპე მახარაძის ხელმძღვანელობით (გვულისხმობ ნაციონალ-უკლონისტებს). კონკურენტი არ ჰყავდათ რეგიონში, ხოლო პეტერბურგელ და მოსკოველ რევოლუციონერებს ტოლს არ უდებდნენ. ზემოხსენებულმა პოლიტიკოსებმა ქართული სახელმწიფოს წინაშე თავიანთი ფუნქცია შეასრულეს.

როგორც ცნობილია, იმდროისათვის არსებობდა ქართული სახელმწიფოს მოწყობის ორი იდეა – ჟორდანიას და მახარაძისა.

შორღანის იდეა – საქართველოს დამოუკიდებლობა ან მისი გაერთიანება კავკასიურ კონფედერაციაში რეალობის შესატყვის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციით; **მახარაძის იდეა** – საქართველოს გაერთიანება ყოფილ ცარიტულ რუსეთში შემავალ ერებთან კონფედერაციულ ვაგონში – ევროპული კომუნისტური გაგებით.

ჟორდანიას იდეით მოწყობილმა საქართველომ მხოლოდ სამი წელი იარსება. იმ დროისთვის საერთაშორისო მდგომარეობა იყო ისეთი, რომ საქართველო ბოლშევიკური რუსეთისაგან დაუცველი აღმოჩნდა, ამიტომ, ასე ვთქვათ, სათადარიგოდ მახარაძის იდეა შესატყვისებოდა რეალობას. სწორედ ამ იდეის განხორციელებას ემსხვერპლნენ ნაციონალ-უკლონისტები, როდესაც მათ საშუალება არ მისცეს თავიანთი იდეების განსახორციელებლად, 1922 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობა მახარაძის მეთაურობით გადადგა. ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა გახლდათ საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში. სწორედ მახარაძემ დაგმო ოფიციალურად 1924 წლის აჯანყების სისხლი ჩაბოძა. იმ დროს ამგვარი ქვევაც უპრეცედენტო იყო.

ნაციონალ-უკლონისტების დიდი დამსახურება ის არის, რომ მათ კრემლის მესვეურთ გამოსტაცეს კონფედერაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტი – ნაციონალური არმიის შექმნის უფლება. ამისთვის საქართველომ კრემლიდან დაფინანსებაც კი მიიღო.

რაც შეეხება 1918-21 წლებს. მსოფლიოს გამოჩენილი ექსპერტების აზრით, საქართველოსთვის ეს დრო იყო მცირე ოქროს ხანა, ხოლო მისი მედროშეები თანამედროვეობის გამოჩენილი პოლიტიკოსები. უცხოელები გვიჩვენებენ ჩვენებურებს, ჩვენ კი მათ დღენი-ადაგ ლაფში ვსვრით. ამგვარი ქვევაც უმაგალითოა კაცობრიობის ისტორიაში, როცა ეროვნულ გამრეხს ამუნათებენ, ხოლო ქვეყნის დამატყვევრებს აღმერთებენ.

* * *

1893 წელს სოციალ-დემოკრატების მიერ შედგენილი პროგრამა ასე იწყება: „თუ პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ საზოგადოება უნდა იყოს თავისუფალი, რატომ არ უნდა იყოს თავისუფალი ერი, რატომ არ უნდა ჰქონდეს მას საკუთარი სახელმწიფო?“

მხედველობიდან არც ის უნდა გამოგვრჩეს, რომ ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი თვით ილიას ხელმოწერით გაზეთ „ივერიის“ 1896 წლის №102-ში აქვეყნებს წერილს, სადაც თქმულია: „სასოებით ვეგებებით ჩვენთვის და მთელი რუსეთისთვის დიდებულ დღეს და ერთგული ქვეშევრდო-

მის გრძნობით ღმერთსა ვთხოვთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენის საყვარელის იმპერატორის საბედნიეროდ და სასიხარულოდ“. შემდგომ ამისა, ეს მოსაზრება პროგრამადაც კი გაიხდა იმ საზოგადოებამ, რომელსაც ილია მეთაურობდა: „ქართველს უნდა ჰქონდეს პროგრამა. ასეთი პროგრამა გვაქვს. პირველი მუხლი: ქართველობა აღიარებს თავის მტკიცე ერთობას და ერთგულებას რუსეთისა და ჩვენის ხელმწიფის იმპერატორისა“ (ივერია, 1901 წ. №116).

რასაკვირველია, ნოე ჟორდანიას გუნდს ჰქონდა რიგი შეცდომები. ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზა რომ შეცდომებზეც გადის, მაგრამ მან სწორი ტაქტიკური გზების შერჩევით, საქართველო დამოუკიდებლობამდე მიიყვანა. მოწინააღმდეგეებზეც კი აღიარებენ – ჟორდანიას მეთაურობის გარეშე საქართველო სამოქალაქო ომს ვერ აიცვლებდაო.

* * *

...არ არის გასაკვირი, რომ ქართული ჯარი ვერ გაუმკლავდა მასზე დიდად აღმატებულ რუსულ ჯარს. 1921 წლის 17 მარტს ხელი მოაწერა საომარი მოქმედების შეწყვეტას. არავითარი კაპიტულაცია. მთავრობის შემადგენლობაც უცვლელი დარჩა, რომელიც ემიგრაციაშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას. სწორედ მთავრობის ინიციატივით, შეიძლება ითქვას, საფრანგეთში დაარსდა პატარა საქართველო, რომელიც იმდის შუქურად იქცა ყოველი ქართველი სათვის. საქართველოს მთავრობამ კალონობას მთელი სისრულით ამცნო ბოლშევიკური რუსეთის დაპყობითი პოლიტიკის არსის შესახებ. მან მრავალ ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა, რაც საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების განთავისუფლებას ეხებოდა. 1934 წელს ივლისში ქ. ბრიუსელში საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „კავკასიის კონფედერაციის პაქტს“. საქართველოს სახელით პაქტს ხელი მოაწერეს ემიგრაციაში საქართველოს ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ და აკაკი ჩხენკელმა. 1934 წლის ივლისში შეიქმნა კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი საქართველოს მონაწილეობით. 1936 წელს კავკასიის ერთ-ერთ წარმომადგენლობის ყრილობამ დაადასტურა „კავკასიის კონფედერაციის საბჭოს“ დაფუძნება.

ისიც აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობას არ უთავილია და ემიგრაციაში წასვლისას ურთიერთობა ჰქონდა ბოლშევიკებთან, რათა ქართულ ჯარსა და წითელ არმიას ერთობლივად ემოქმედათ თურქი ჯარისკაცებისაგან ბათუმის გასათავისუფლებლად, იმ პირობით, რომ საერთო ხელმძღვანელობა ქართველ გენერალს უნდა ეკისრა. საბჭოთა რუსეთს თურქეთთან ურთიერთდამხარების ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, ამიტომ მისი მონაწილეობის დასაფარად ამ ხერხს მიმართა: ჟორდანიამ საერთო ხელმძღვანელობა დანიშნა გენერალი მაზნიაშვილი. ამ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა მიიღო ბათუმის შემოგარენში ადრე დაბანაკებულმა ყლობას კავალერისტებმაც.

მაზნიაშვილის არმიამ მაშინ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა...

ვაჟა ჟღენტი
საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტპაკიმართა გაერთიანების თავმჯდომარე

კოჯორში იუნკართა მემორიალთან გერმანელი ქართველის იმყოფებოდა!

საპარტიზომოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან მდებარე გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკო და 97 წლის წინათ, თბილისის ბრძოლებში დაღუპული იუნკერების სსოვნას პატივი მიაგო.

ღონისძიებას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი და შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ქეთევან ციხელაშვილი დაესწრნენ.

დაღუპული გმირები გაიხსენეს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ და საქართველოს შეიარაღებული ძალების

წარმომადგენლებმა. იუნკერთა სსოვნას, ასევე, პატივი მიაგეს დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებმა.

კოჯორში მემორიალთან იმყოფებოდა იუნკერ გრიგოლ ბოკუჩავას შვილი ჰელგრიდ ფრანკე, რომელიც ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს და საქართველოში, სწორედ, ოკუპაციის კვირეულში, იუნკერთა სსოვნის პატივის მისაგებად ჩამოვიდა. იუნკერი გრიგოლ ბოკუჩავა 1921 წელს, კოჯორ-ტაბახმელასთან ბრძოლაში დაიჭრა და პოლონეთში გაემგზავრა. იგი 1985 წელს ემიგრაციაში, გერმანიაში გარდაიცვალა.

იუნკერები 1921 წლის 18-25 თებერვალს იალღუჯასთან, კოჯორთან და ტაბახმელასთან საქართველოს თავისუფლებისთვის იბრძოდნენ.



საბაქო უწყების განხილვა არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით

საპარტიზომოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს:

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმად მწუხარებას გამოხატავს 2018 წლის 22 თებერვალს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის წარმომადგენლების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქის არჩილ ტატუნაშვილის ცხინვალში გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

საგარეო საქმეთა სამინისტრო გმობს საოკუპაციო რეჟიმის დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალებას და ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, საქართველოს კიდევ 2 მოქალაქის ლევან ქუტაშვილისა და იოსებ პავლიაშვილის დაკავებას.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს უწყვეტ საერთაშორისო დისკუსიების თანათავმჯდომარეებს, მოხდეს შესაბამისი დროული რეაგირება,

რათა დაუყოვნებლივ დადგინდეს არჩილ ტატუნაშვილის გარდაცვალების გარემოებები, დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ დაკავებული პირები და შესაბამისი რეაგირება მიეცეს ამ უმძიმეს ფაქტს, რაზეც პირდაპირ პასუხისმგებელია რუსეთის ფედერაცია, როგორც ადგილზე კონტროლის განმხორციელებელი ძალა.

მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებები საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან, რომელთაც მსხვერპლად ეწიებებიან საქართველოს მოქალაქეები, ცხადყოფს ადგილზე ადამიანის უფლებათა და უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნის სასწრაფო აუცილებლობას.

რუსეთის მხრიდან გააქტიურებული უკანონო პროვოკაციული ნაბიჯები, მათ შორის მავთულხლართებისა და სხვა ხელოვნური ბარიერების აგება საოკუპაციო ხაზზე, თავისუფალი გადაადგილების შეზღუდვა და დაკავებები, ადამიანის უფლებების დარღვევები და ეთნიკური დისკრიმინაცია კიდევ უფრო ართულებს ადგილზე არსებულ მძიმე უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ მდგომარეობას, მიზანმიმართულად უშლის ხელს კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს და წარმოადგენს დესტაბილიზაციის წყაროს და საფრთხეს უქმნის როგორც საქართველოს, ისე მთლიანად რეგიონს.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს საერთაშორისო საზოგადოებას, სათანადო შეფასება მისცენ მომხდარ ტრაგიკულ ინციდენტსა და რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხრიდან განხორციელებულ ქმედებებს და მოახდინონ შესაბამისი რეაგირება“, –ნათქვამია განცხადებაში.



რატომ აღიარა ცხინვალის და ფაქტო ხელისუფლებამ დონბასის „რესპუბლიკები“?!..

თიბერძენის დასაწყისში ენ. „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა“ ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონს ეკონომიკურ თანამშრომლობაზე შეუთანხმდა. შესაბამის „შეთანხმებას“ მხარეთა დე ფაქტო მთავრობების ეკონომიკური განვითარების მინისტრებმა მოაწერეს ხელი.

მკითხველს შეეცხვენება, რომ 2014 წელს ცხინვალის ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებამ ლუგანსკისა და დონეცკის ენ. „სახალხო რესპუბლიკების“ „დამოუკიდებლობა“ აღიარა, 2017 წლის 11 მაისს კი დონეცკთან „მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმება“ გააფორმა.

ერთი დეტალი: ცხინვალისა და აღმოსავლეთ უკრაინის ზემოაღნიშნულ ტერიტორიებს ურთიერთინტერესი მხოლოდ დონბასის „რესპუბლიკის“ აღიარების შემდეგ გაუჩნდათ. მანამდე მსგავსი არაფერი შეიმჩნეოდა.

მაინც რით შეიძლება, დაეხმაროს საქართველოს ეს პატარა – 50 000-იანი მოსახლეობის მქონე, ოკუპირებული და ლატა-



კი რეგიონი ომის მდგომარეობაში მყოფ 6-მილიონიან ტერიტორიას? რუს პოლიტიკოვლადიმირ ნოვიკოვს ამ კითხვაზე მარტივი პასუხი აქვს:

„ამ შეთანხმებას შესაძლოა სანქციებიდან გამოჰყავს რუსეთის იურიდიული პირები, რომლებიც ცხინვალის გავლით ლუგანსკის სანარმოებთან ითანამშრომლებენ. მეორე მხრივ, მას თავისებური ბლოკადიდან გამოჰყავს თავად ლუგანსკის სანარმოები. ამგვარად, ამ შეთანხმების მთავარი ფუნქციაა, რუსეთის იურიდიულ პირებსა და ლუგანსკის სანარმოებს შორის სამხრეთ ოსეთის შუ-

ამავლობა უზრუნველყოს“.

„საქმე ის არის, რომ სამხრეთ ოსეთი, მისი შეზღუდული სტატუსის გათვალისწინებით, საერთაშორისო სანქციებისათვის მიუწვდომელია, ამდენად, შეუძლია, დაუსჯელად ითანამშრომლოს ლუგანსკისა და დონეცკთან, რუსულ სანარმოებს კი, თავის მხრივ, არაფერი უშლით ხელს, ოს პარტნიორებთან ითანამშრომლოს. ყველაფერი ეს გრძელვადიანი პროექტის შთაბეჭდილებას ქმნის, რომელიც ძნელად თუ ენერება მინსკის შეთანხმებებში კიევის იურისდიქციის ქვეშ დონბასის თანდათანობით დაბ-

რუნების თაობაზე“ – წერს ამასთან დაკავშირებით „ЭХО Ка-ВКВ3а“-ს მიმომხილველი მურატ გუკეშოვი.

რუსი პოლიტიკოლოგი, ინსტიტუტ „ცივილიზაციათა დიპლომატიის“ სამეცნიერო კვლევების ხელმძღვანელი ალექსეი მალაშენკო კი თვლის, რომ „მოიფიქრეს ასეთი არხი და მას დიდხანს გამოიყენებენ, თუმცა ნორმალური ვითარებისთვის ეს აბსურდულად გამოიყურება, რადგან გამოდის, რომ რუსეთი მზადაა, საერთაშორისო არენაზე არათუ კრიტიკა, ისტერიული სიცილიც კი

აიტანოს, და ესეც დიდხანს გაგრძელდება“.

კიდევ ერთი საინტერესო მონეტი: რატომ აღიარა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ დონბასის „რესპუბლიკები“ და რუსული დახმარების ტრანზიტორად იქცა, აფხაზეთს კი ეს არ გაუკეთებია? ალექსეი მალაშენკოს აზრით, აქ საქმე ის არის, რომ ოსური პოლიტიკური კლასი საკუთარ მომავალს რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ხედავს, აფხაზეთი კი – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ:

„სწორედ აქედან მომდინარეობს განსხვავებული დამოკიდებულება შესაძლო სარეპუტაციო რისკების მიმართ. ისინი სრულიად განსხვავებულები არიან. აფხაზეთს ოდესმე აღიარებენ – თუნდაც 50 წელიწადში, მაგრამ აღიარებენ. შესაბამისად, აფხაზეთი, რა თქმა უნდა, ფიქრობენ თურქებზე, ევროპაზე... აფხაზეთს პერსპექტივა აქვს – თუნდაც უმცირესი. აი, სამხრეთ ოსეთი კი რუსეთის ფედერაციის სუბიექტი გახდება“.

„აქცენტი“

ბერმანული გამოცემის „Süddeutsche Zeitung“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში განხილულია რუსეთის აღმოსავლეთით გაფართოებისადმი და ნატოში ახალი წევრების მიღების საკითხი. პუბლიკაციაში განმარტებულია, თუ როგორი პოლიტიკის გატარება შესაძლებელია რუსეთ-ნატოს ურთიერთობის სიმწვანის გასაწვრივებლად (ავტორი – მიხაილ მუჰომედი, აშშ-ის ბრუკინგსის ინსტიტუტის (აშშ) უფროსი მენეჯერი-თანამშრომელი).

დონალდ ტრამპი წინასაარჩევნო კამპანიის დროს მოსკოვის მიმართ სიმპათიებით იყო განწყობილი, მას აშკარად მოსწონდა „ძლიერი პიროვნება“ ვლადიმერ პუტინი. კარგად რომ დავუკვირდეთ, უნდა ვაღიაროთ, რომ დონალდ ტრამპს გუშინ არ ღალატობდა, მაგრამ ბევრი ჩვენგანი ამას ხმამაღლა არ ამბობს.

დაიხ, აშშ-რუსეთის ურთიერთობა თითქოსდა დაწყვეტილია: ის ძალიან ცუდია და ასეთი დარჩება, სანამ რუსეთის პრეზიდენტად ვლადიმერ პუტინი იქნება. იგი კი პრეზიდენტობას 2024 წლამდე აპირებს. მოკლედ, ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები რუსეთთან სანგრძლივი გეოსტრატეგიული ბრძოლის მდგომარეობაში იმყოფებიან, რასაც აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია ადასტურებს. შესაბამისად, ჩვენ ნატოსა და რუსეთის პირდაპირი შეტაკების თავიდან აცილების გზები უნდა ვეძიოთ. ომი მართლაც შესაძლებელია, თუ ვლადიმერ პუტინი დასავლეთის კოლექტიური ნებისყოფის გამოცდას ბალკანეთის სახელმწიფოებისა და იმ ქვეყნების მიმართ დაინტერესობს, რომლებიც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ნაწილები იყვნენ.

ფიქრობ, არსებობს ომის რისკის მინიმუმამდე შემცირების გზა ისე, რომ დასავლურ ფასეულობებზე უარის თქმა არ მოგვიხდეს და რომელიმე ჩვენი მოკავშირის ინტერესები არ გავწიროთ. ეს გზა იწყება იმის კონსტატაციით, რომ ნატოს გაფართოება, მისი პოზიტიური დამსახურების მიუხედავად, საკმაოდ შორს წავიდა. თუ ვლადიმერ პუტინი ამგვარ იდეას მოინონებს, მაშინ ჩვენ აღმოსავლეთ ევროპისთვის უსაფრთხოების ახალი სტრატეგიის შექმნა მოგვიწევს, რომლის დროსაც გაცხადდება, რომ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის მიღება ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოირიცხოს. თავის მხრივ, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა უნდა მოაგვაროს ტერიტორიული დავები თავის მეზობლებთან და მათ წინააღმდეგ ბრძოლა შეწყვიტოს. გარდა ამისა, მან უნდა აღიაროს ამ სახელმწიფოების უფლება რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებში განეწიონ თაობაზე, ვთქვათ, ევროკავშირში. რასაკვირველია, ამგვარი სიტუაცია სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ წინ არ აღვუდგეთ რუსეთის აგრესიულ ქმედებას მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში.

ზოგი ეჭვობს – შესუსტდება თუ არა დაძაბულობა ნატოს გაფართოების პროცესის შეწყვეტით? რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიქნებით იმაში დარწმუნებულნი, რომ ეს გზა საბოლოო განმუხტვამდე მიგვიყვანს. მაგრამ როგორც ბერძენი ისტორიკოსი ფუკიდიდე ამბობდა, ადამიანები ომებს სამი მიზეზით აწარმოებენ – შიშის, სიზარმობისა და საკუთარი ღირსების ან ინტერესების დასაცავად. რუსეთს, სამხედრო თვალსაზრისით, ნატოსადმი შიში არ უნდა ჰქონდეს. რუსეთი არ არის დაინტერესებული უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების გაკონტროლებით – ისეთების, რომლებიც მოსკოვზე ღარიბულად ცხოვრობენ. მაგრამ რუსები ნამდვილად ფიქ-



აშშ-რუსეთის ურთიერთობას ბერძენი „წყევლის“!

თუ რუსეთთან ომის თავიდან აცილება გვსურს, ნატომ საქართველოსა და უკრაინის ალიანსში მიღება ერთმნიშვნელოვნად უნდა გამოირიცხოს

რობენ, რომ ცივი ომის დასრულების შემდეგ მათი ღირსება რამდენჯერმე მიუტყვევებლად იქნა შეურაცხყოფილი. დამნაშავე ამაში, პირველ რიგში, ის ალიანსია, რომელმაც „ცივი ომში“ საბჭოთა იმპერიაზე გვიმარჯვა და 1,3 ათასი კვ. კილომეტრით აღმოსავლეთით გაფართოვდა, თვით რუსეთის სახელმწიფო საზღვრებამდე. ნატოს მცდელობა თავის რიგებში მიიღოს უკრაინა, საქართველო და სხვა ქვეყნები, რუსების ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს.

ზოგი, ალბათ, შემედავება, რომ რომ რუსეთთან ამგვარი გარიგების შედეგად უკრაინას და საქართველოს (დასავლეთის ყურადღება მოაკლდება და ისინი) მოსკოვის გავლენის სფეროში მოხვდებიან. ჩემი აზრით, ეს არასწორი თვალსაზრისია. სინამდვილეში, თანამედროვე პოლიტიკის გათვალისწინებით, ეს ქვეყნები დასავლეთის მიერ ისედაც იგნორირებულია. 2008 წლის აპრილის სამიტზე, ბუქარესტში, ნატო ორივეს დაპირდა, რომ ალიანსის წევრებად აუცილებლად მიგიღებოდა, მაგრამ ამ დაპირებაში არანაირი მინიშნება არ ჩანდა იმისა, თუ როდის გახდებოდნენ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრები და როგორ განხორციელდებოდა მათი მიღება ალიანსში. ანუ შუალედურ პერიოდში (დაპირებებიდან განხორციელებამდე) უსაფრთხოების გარანტია არ არსებობდა. რამდენადაც ვლადიმერ პუტინმა კარგად უწყობდა ჩვენი ინტერესი ალიანსის გაფართოების მიმართ, მას ყველანაირი საფუძველი ჰქონდა იმისათვის, რომ ეს სახელმწიფოები კიდევ უფრო დაესუსტებინა და ისინი არასტაბილურ ქვეყნებად

გადაექცია, ანუ უვარგისი ნატოს წევრობისათვის.

ნატო ისეთ ორგანიზაციადაა აღიქმება, რომ მას ყველა მომენტში შეუძლია გაფართოება, მაგრამ თვით გაველია ცივი ომის დროს ალიანსმა მხოლოდ ოთხი ახალი წევრი მიიღო. გარდა ამისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-10 მუხლს, რომლის თანახმად, ალიანსის გაფართოება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს, თუ მისი წევრობის კანდიდატები „ხელს შეუწყობს ჩრდილოატლანტიკური სივრცის უსაფრთხოების უზრუნველყოფას“. გაფართოების ვარიანტი არასოდეს არ იყო ჩაფიქრებული როგორც სავალდებულო და უნივერსალური. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ უკრაინა და საქართველო საკმაოდ შორს მდებარეობენ ჩრდილოატლანტიკური სივრცედან, ანუ ისინი ძალიან დაშორებული იქნებიან იმ შეიარაღებული ძალებისგანაც, რომლებმაც ისინი უნდა დაიცვათ, ნატოში მათი რეალური განეწიების შემთხვევაში.

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უარი უნდა თქვას გაფართოების ძველ პოლიტიკაზე და შეწყვიტოს ამერიკელი ჯარისკაცების განლაგება აღმოსავლეთ ევროპაში. ნატოს გაფართოების ახალი პოლიტიკის დროს კი დღის წესრიგში დადგება სამხედრო დახმარების განწევა უკრაინისათვის, საქართველოსათვის და, ალბათ, მოლდოვასთვისაც. რუსეთს ამ ქვეყნებიდან თავისი ჯარის გამოყვანა მოუწევს, რადგანაც სამხედრო ძალების იქ ყოფნა ამ ქვეყნებს არ სურს. ჯარების გაყვანა ხელს შეუწყობს ეკონომიკური სანქციების შესუსტებას და მათ მოხსნას. ყირიმის პრობლემა საჭიროა, ძალიან დელიკატურად გადაწყვეთ – ნეიტრალური ქვეყნების სამშვიდობო ძალების მონაწილეობით, რომლებიც ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ. დასაშვებია, რომ ამ ოპერაციას ნატო ხელმძღვანელობდეს.

ახალი წესრიგის არქიტექტურა შეიძლება მოკლე ხელშეკრულებით დადასტურდეს – ერთობლივი განცხადებით მხარეთა განზრახვის შესახებ. დიდი ხელშეკრულების გაფორმება ზედმეტი იქნება, რადგან თუ რუსეთი დაარღვევს ერთობლივი განცხადების პირობებს, მაშინ ყველა მიღებული შეთანხმება ისედაც გაუქმდება.

ცხადია, არავითარი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ამ იდეით დაინტერესდება. მან შეიძლება უპირატესობა დასავლეთთან დაძაბული დამოკიდებულების გაგრძელებას მიანიჭოს – იმიტომ, რომ ასეთი პოლიტიკით მას თავის ქვეყანაში მხარდაჭერა უზრუნველყოფილი ექნება, ანდა ეროვნული თვითშეფასების მაღალი დონის გამო. მაგრამ სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანი მისთვის ამ იდეის შეთავაზება, თანაც ნატოს ძველი გაფართოების გამო ბოდიშის მოხდა არ დაგვიჩივდება. აქვე ვიტყვი, რომ რა თქმა უნდა, ამ გაფართოებამ დადებითი როლი შეასრულა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გადემოკრატიზაციის საკითხში.

ერთი რამ ნათელია: რუსეთისა და ნატოს ურთიერთობის გაუარესებაში მთავარი ბრალი ვლადიმერ პუტინის მიუძღვის და არა ალიანსს, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ პოლიტიკა ავტომატურად გადავრთვით. ანუ მინდა ვთქვა, რომ არის რამდენიმე ახალი იდეა, რომლებიც ჩვენ თვითონვე შეგვიძლია შევთავაზოთ და წინ წავწიოთ.

„Süddeutsche Zeitung“ (გერმანია), „ნიუპრესი“

გუანოს-აირასი რუსეთის საელჩოდან 400 კილოგრამი აპოლიტო



რუსი და არგენტინელი სამართალ-დაცველების საერთო ოპერაციის ფარგლებში, ორივე ქვეყნის ტერიტორიაზე

6 ადამიანი დააკავეს. დაკავებულებს შორის პოლიციელები და დიპლომატიური უწყების თანამშრომლები არიან.

გამოძიება ნარკოტიკების რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ტრანსპორტირების საქმეზე 2016 წელს დაიწყო, მას შემდეგ რაც არგენტინაში რუსეთის ელჩმა, პოლიციას დიპლომატიური რეისით ნარკოტიკების შესაძლო გადატანასთან დაკავშირებით, ინფორმაცია მიიწვია. კოკაინით სავსე 16 ჩანთა, საელჩოს ტერიტორიაზე მოქმედი სკოლის შენობაში ინახებოდა.

ავსტრალიის ვიცე-პრემიერმა თანამშრომელთან „ჩინოვანების“ ბაზრის თანამდებობა დატოვა



სკანდალი მას მერე დაიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ ჯოისმა, რომელმაც ქონინენთან 24 ფაქტობრივად დატოვა

ოჯახის ღირებულებების შესახებ კამპანიას ახორციელებდა, საყვარელი გაიჩინა, რომელიც მისგან ბავშვს ელოდება. მისი და ვიკი კემპინის რომანის შესახებ ინფორმაცია ადგილობრივ მედიაში ორი კვირის წინათ გავრცელდა

თანამდებობის დატოვების შესახებ ინფორმაცია 22 თებერვალს, მას მერე გავრცელდა, რაც მას სექსუალურ შევიწროებაში დასდეს ბრალი. ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელის განცხადებით, პარტია ფლობს ინფორმაციას ჯოისის სექსუალურ შევიწროებაზე, თუმცა ამის შესახებ კომენტარის გაკეთებას არ აპირებს. ყოფილმა ვიცე-პრემიერმა უარყო ეს ბრალდებები, თუმცა აღნიშნა, რომ ამ ფაქტმა მისი თანამდებობიდან წასვლის პროცესი დააჩქარა. ჯოისის წარმომადგენელი აცხადებს, რომ ეს ფაქტები სიცრუის წარმოადგენს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი სიგურდსონი ზღაპრის სენსაც



საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ემანუელ მაკრონი სიმფონიური ზღაპრის — „პეტია და მგელი“ სენსაც გამოავა. წარმოდგენა ელისეის სა-

სახლში 1 მარტს გაიმართება. პოლიტიკოსს სენსაცზე მთხრობელის როლში ვისილავთ. ლონსიძე იქნება საქველმოქმედო და მას ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემით დაავადებული მოსწავლეები დაესწრებიან. აქცია ორგანიზებას გაუწევს პრემიერის მეუღლე ბრიჯიტ მაკრონი. მუსიკას საფრანგეთის რესპუბლიკური გვარდიის ორკესტრი შეასრულებს. ცნობისთვის, ემანუელ მაკრონის შემოქმედება პირველად დასავლური მედიის ყურადღების ცენტრში 2018 წელს მოექცა, როცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ მას ახალგაზრდობაში ეროტიკული რომანი ჰქონდა დაწერილი.

რუსეთსა და საქართველოს შორის ღია ცის შეთანხმების განხილვა გაიმართება 26 თებერვალს

36 წელი, 26 თებერვალს, რუსეთსა და საქართველოს შორის ღია ცის შეთანხმების განხილვა გაიმართება. „რია ნოვოსტი“ სამხედრო-დიპლომატიურ წყაროზე დაყრდნობით აცხადებს, რომ შეთანხმება ჩაშლის საფრთხის წინაშეა.

„საქართველოს უკან დგას აშშ, ასევე, კანადა და ევროპული ქვეყნების ნაწილი: ბალტიისპირეთის ქვეყნები, პოლონეთი, რუმინეთი და უკრაინა. იმ შემთხვევაში, თუ 26 თებერვალს ვენაში ღია ცის საკონსულტაციო კომისიის სხდომაზე მხარეები შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, ამის შესაძლებლობა მარტში, მოლაპარაკებების სესიის დასურვის წინ იქნება“, — წერს რუსული გამოცემა.

დეკემბრის ბოლოს „რია ნოვოსტის“ სამხედრო-დიპლომატიურმა წყარომ განუცხადა, რომ ღია ცის შეთანხმების ფარგლებში, სადამკვირვებლო ფრენები შეიწყობა, შეწყდეს, რადგან საქართველოს არ სურს რუსულ თვითმფრინავებს თავისი საჰაერო სივრცე გაუხსნას. ღია ცის შეთანხმებას ეუთოს წევრმა 23-მა სახელმწიფომ 1992 წლის 24 მარტს ჰელსინკიში მოაწერა ხელი. შეთანხმების მონაწილეებს შეუძლიათ ერთმანეთის ტერიტორიაზე სამხედრო აქტიურობის კონტროლის მიზნით, სამეთვალყურეო ფრენები განახორციელონ.

აჭარა ტაღინის სარტაშორისო ტურისტულ ბაზრის გაშენება

აჭარის ტურისტული პოტენციალი ტაღინის სარტაშორისო ტურისტულ ბაზრის გაშენებაზე ესტონელი ვიზიტორების ყურადღების ცენტრში მოექცა. რეგიონის ტურისტული პროექტები გამოფენაზე აჭარის ტურიზმის დეპარტამენტმა ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად წარადგინა.



საქართველოს სტენდთან ვიზიტორებს საშუალება ჰქონდათ, ქვეყნისა და რეგიონის ტურისტულ შესაძლებლობებს გასცნობოდნენ, ასევე დეტალური ინფორმაცია მიეღოთ ქვეყანაში მოგზაურობისთვის საჭირო საკითხების შესახებ.

ტაღინის სარტაშორისო ტურისტული ბაზრის გაშენება „TUEREST 2018“ ბალტიისპირეთში ყველაზე მასშტაბური გამოფენა და მასში 34 ქვეყნის 511 ორგანიზაცია მონაწილეობს. გამოფენას ყოველწლიურად 28 000-მდე ვიზიტორი სტუმრობს. გამოფენაზე ხალხმრავლობით გამოირჩეოდა საქართველოს სტენდიც. ესტონელებისათვის საქართველო ახალი და საინტერესო ტურისტული მიმართულებაა, შესაბამისად წლიდან წლამდე იზრდება ქვეყნისა და რეგიონის მიმართ ინტერესი.

უკრაინული ტურისტული ბაზრის გაშენება



ინფორმაციის ფარგლებში უკრაინული ტურისტული კომპანიების და მედიის 11-მა წარმომადგენელმა მცხეთა, ანაწორი, გუდაური, ბორჯომი, ბაკურიანი და თბილისის ისტორიული უბნები მოინახულა.

ტურის მონაწილეებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე შეხვდა, სტუმრებისთვის საქართველოს შესახებ პრეზენტაცია გაიმართა. სამომავლო თანამშრომლობისა და ტურების დაგეგმვის მიზნით უკრაინული ტურისტული კომპანიების წარმომადგენლები ქართველ კოლეგებს შეხვდნენ. სტუმრები განსაკუთრებით დაინტერესდნენ საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებით. სტატისტიკური მონაცემებით, 2017 წელს საქართველოს უკრაინიდან 193 ათასზე მეტი სარტაშორისო მოგზაური ეწვია.

ჩაბუქი დასვას საჭიროებს?

მუსტაფა იმრე ჩაბუქის ადვოკატებმა გუშინ მთავარ პროკურორს ჩაბუქის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვის მოთხოვნით მიმართეს. ადვოკატები თავდასხმისა და გატაცების საფრთხეებზე საუბრობენ.

ჩაბუქის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განმარტებით, მას შემდეგ, რაც დემირელის კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი თბილისის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობიდან გაათავისუფლა, თურქულ სოციალურ ქსელებში მის მიმართ ნეგატიური განცხადებები ვრცელდება.

„მისი გაათავისუფლების შემდეგ თურქულ სოციალურ ქსელებში უარყოფითი კონტენტის შემცველი განცხადებები გავრცელდა. ყოფილა პრეცედენტი, როცა თურქეთის მოქალაქე საქართველოში პატიმრობიდან გაათავისუფლეს და ის თურქეთში გაიტაცეს“, — განუცხადა „ჯი-ეიჩ-ენს“ ადვოკატმა.



პოლონეთში პოლიციაზე თავდასხმის ბაზრის საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს



პოლონური მედიის ინფორმაციით, პოლონეთის ქალაქ ზგიეშოში, პოლიციის თანამშრომლებზე თავდასხმის გამო საქართველოსა და უკრაინის მოქალაქეები დააკავეს. არსებული ინფორმაციით, გვიან ღამით, ერთ-ერთ უბანში ჩხუბის გამო პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცველების ადგილზე მისვლის შემდეგ გაირკვა, რომ ნასვამი უცხოელები ერთმანეთში ჩხუბობდნენ. პოლიციამ მათ საბუთების წარდგენა მოსთხოვა, რის შედეგადაც უცხოელებმა სამართალდამცველებს ქვების სროლა დაუწყეს. პოლიციამ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენა, რის შედეგადაც სამი თავდასხმელი ფეხში მსუბუქად არის დაჭრილი. სულ კი ჩხუბში მონაწილე 13 პირია დაკავებული. საქმეს პროკურატურა იძიებს.

კონტრაბანდისტ - 7 წლამდე პატიმრობა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქართველოს საბაჟო საზღვარზე განსაკუთრებით დიდი ოდენობით საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესის დარღვევის ფაქტზე ერთი პირი ამხილეს.

ბრალდებულმა, საბაჟო გამშვები პუნქტი „სარფის“ გავლით, საქართველოს საბაჟო საზღვარზე, საბაჟო კონტროლისგან მალულად, ერთ-ერთი გადაზიდვით კომპანიის კუთვნილ სატვირთო ავტომანქანაში მოწყობილი სპეციალური სამალავებით შემოიტანა არადეკლარირებული, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ძვირფასი ლითონისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობები, მობილური ტელეფონის აქსესუარები და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები. საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულია ჯამში 21 კგ-ზე მეტი ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობები, რომლის საერთო საბაჟო ღირებულება 191 381 ლარს შეადგენს. ასევე ამოღებულია ჯამში 10 144 ლარის ღირებულების ტელეფონის აქსესუარები და ავტომანქანის სათადარიგო ნაწილები.

ნარკოდანაშაულისთვის 20 პირი, მათ შორის, 5 ნარკოპოლიციატორი დააკავეს!

ბოლო ერთი კვირის განმავლობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მიერ მთელი ქვეყნის მასშტაბით ამოღებულია დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობის სხვადასხვა სახის ნარკოტიკული საშუალება. პოლიციის მხრიდან კრიმინალთან აქტიური ბრძოლა გრძელდება.

სამინისტროს თანამშრომლებმა თბილისში, სამცხე-ჯავახეთში, აჭარასა და ქვემო ქართლში, ჯამში, 0,5 კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული ნივთიერებები ამოიღეს, მათ შორის: 589,86 ჰეროინის შემცველი ნარკოტიკული საშუალება, 191 აბი „სუბოქსინი“, 18 აბი „მდმა“, 437 აბი „ექსტაზი“, 179 აბი „ბუპროპროფინი“, 10 აბი „მეტადონი“, 1 შეკვრა ოპიუმი და ა.შ. ნარკოდანაშაულისთვის 20 პირია დაკავებული, მათ შორის — 5 ნარკორეალიზატორი. დაკავებულია შორის, 8 უცხო ქვეყნის მოქალაქე. მათ მიერ სხვადასხვა მუხლით ჩადენილი დანაშაული, 7-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

© წინ, საპარტიველოში!

ლიანა ჯოჯუა მსოფლიოს ჩემპიონია!

ლიანა ჯოჯუა FIGHT NIGHTS GLOBAL-ის მსოფლიოს ჩემპიონია! მოსკოვში გამართულ შერეული საბრძოლო ხელოვნების ოსტატთა ფინალურ პაექრობაში მან რუსი მარინა მოხანტკინა დაამარცხა და პირველი ქართველი გახდა, რომელიც ამ სახეობაში საჩემპიონო ქამრის მფლობელი გახდა.

საგულისხმოა, რომ აქამდე რინგის მასპინძელი უძველესი იყო და, შესაბამისად, პირველი მარცხი ჩვენებურმა აგემა.

მანუჩარ გიორგაძე



© კალათბურთი

თორნიკე შენგელიამ მოსკოვში იპაჟიასა

ევროლიგის 23-ე ტურში „სასკი ბასკონია“ ლიდერ ცესკა-ს ესტუმრა და შინ დამარცხებული დაბრუნდა. არადა, ესპანური გუნდი მრისხანე მეტოქეს სამი მერიოდის განმავლობაში ტოლს არ უდებდა და, მეტიც, სსენებული დროის უმეტეს ნაწილში იგებდა კიდევ.

დასკვნითი პერიოდის წინ ტაბლოზე სრული თანაფარდობა იყო, მაგრამ ბოლო ათწუთულში კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა – ცესკა-მ მეოთხედი 22:15, ხოლო თამაში 93:86 მოიგო.

თორნიკე შენგელია პარკეტზე ისევ საუკეთესო გახლდათ. „ბასკონიას“ კაპიტანი, რომელიც სასტარტო ხუთწუთში იმყოფებოდა, 27 წუთში საკუთარ გუნდს ორმაგი დუბლით შეენია: 12 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 1 ჩაჭრა და 1 დაფარება.

თორნიკემ 7-დან 4 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, ხოლო სამქულიანიდან მეტოქის კალათს არ დამუქრებია. შენგელიას ორივე გუნდის შემადგენლობაში მოხსნებში საუკეთესოა.



ვიტალი ჯაფარიძე

© პიონერი – 2018

ოქრო რუსეთსაც ელირს

ვიზუალისტ ქალთა ტურნირში ოქროს მედლის მისაღებად მხოლოდ ორი სპორტსმენი იბრძოდა, რომელთა პროგრამები აღიარებულია ყველაზე რთულად. ორივე ოლიმპიელი რუსეთიდანაა – ქვეყნის, ევროპისა და მსოფლიოს ორგზის გამარჯვებული, რეკორდული ქულების მფლობელი, 18 წლის ევგენია მედვედევა და 2018 წლის გრან პრის ფინალის და ევროპის ჩემპიონი, 15 წლის ალინა ზაგიტოვა. არ გაგივირდებთ თუ გაიგებთ, რომ ამ ორ ფუნდერკინდსაც ერთი მწვრთნელი ჰყავს – რუსეთში დაბადებული ქართული წარმოშობის ეთერ თუთბერიძე. მედვედევა და ზაგიტოვა ირწმუნებიან, რომ ყინულს მიღმა ისინი მეგობრები არიან, თუმცა, რთული წარმოსადგენია, როგორ უნდა მეგობრობდნენ მსოფლიოს საუკეთესო მოციგურავეები, მეტოქეები, რომლებიც, მით უმეტეს, ერთი მწვრთნელის ყურადღებას იყოფენ.



მოკლე პროგრამა პირველმა მედვედევამ შეასრულა და მორიგი რეკორდი დაამყარა – 81,61 ქულა. მაგრამ ეს რეკორდი ათი წუთიც არ შენარჩუნებულა, იგი ზაგიტოვამ მოხსნა – 82,92 ქულა. ამის შემდეგ ყველასთვის გასაგები გახდა, რომ სწორედ ქალთა ბრძოლა იწვევდა ყველაზე დიდ ინტერესს. მედვედევას მიმდინარე სეზონში რამდენიმე ტურნირის გამოტოვება მოუწია ფეხის ტრავმის გამო, ამიტომ მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ მისი მეორე ადგილი ლოგიკური იყო.

თავისუფალი პროგრამის შესრულებამდე მონაწილეებს ერთი დღე ჰქონდათ დასასვენებლად. წარმოგედგინათ, როგორ დაისვენა ამ ორმა სპორტსმენმა იმის ფიქრით, რომ მათი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ხუთი წუთი (ამდენ ხანს გრძელდება თავისუფალი პროგრამა) ჯერ კიდევ წინ იყო. ან როგორ დაისვენა თუთბერიძემ, რომელსაც თავისი ორივე მოსწავლის ტრიუმფი სურდა, მაგრამ იცოდა, რომ ოქრო მხოლოდ ერთია.

და აი, ის დღე გათენდა, რომელსაც ფიგურული ციგურაობის ყველა ქომბაგი ელოდა. ნერვულობა მაჭურავდა. თავისუფალი პროგრამა პირველმა ალინა ზაგიტოვამ შეასრულა. მისი გამოსვლა არ იყო იდეალური, თუმცა, მაინც საკმაოდ მაღალი ქულა მიიღო და ახლა მხოლოდ მედვედევას

გამოსვლას ელოდებოდა. სწორედ ევგენიას სრიალზე იყო დამოკიდებული, ვინ რომელი სინჯის მედალს მოიპოვებდა. მედვედევას სეზონის საუკეთესო მაჩვენებელი 154,29 ქულა იყო. მან იგი გააუმჯობესა და 156,61 ქულა დააგროვა. თუმცა, მოკლე პროგრამის შემდეგ ზაგიტოვას ლიდერობამ მედვედევას ოქროს მედლის დაუფლების შესაძლებლობა არ მისცა. 15 წლის ზაგიტოვა ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. თუმცა, მისი რეაქციიდან გამომდინარე, ის ჯერ ვერ იაზრებს, თუ რა რანგის ასპარეზობა მოიგო:

„ჯერ ვერ ვხვდები, თუ რა მოხდა, მხოლოდ ის ვიცი, რომ პროგრამა უკეთ უნდა შემსრულებინა“, – თქვა ზაგიტოვამ. მედვედევამ კი გამოსვლის დასრულების შემდეგ ცრემლები ვერ შეიკავა – იცოდა, რომ უშეცდომოდ შესრულებული თავისუფალი პროგრამა მას ოქროს მედალს მაინც ვერ მოუტანდა. ახლადმორჩენილი ტრავმის გამო მან ორი ხტომითი ელემენტი პროგრამის პირველ ნაწილში შეასრულა, რასაც ნაკლები ბონუსქულა მოაქვს.

მწვრთნელის ემოციებზე თუ ვისაუბრებთ, სუბიექტური აზრით, ეთერ თუთბერიძე მედვედევას მხარეს იყო, რადგან ვინ იცის მასზე უკეთ, თუ რამდენი შრომა აქვს ჩადებული ამ უნიკალურ სპორტსმენს და რამდენი დაბრკოლების გადალახვა მოუწია მას. თუთბერიძემ მედვედევას სახიდან ცრემლები მოწმინდა და ახალი გამარჯვებისაკენ შთამოგონებული სიტყვები ჩააჩურჩულა...

ეს რუსების პირველი ოქროა კორეაში.

ბაჰან დოლიძე

© მანდალიზმი

ვინ ალაბამს ტერორს?

ევროპა ლიგის 1/16 ფინალური ეტაპის საპასუხო მატჩი „ბილბაო“ – „სპარტაკი“ ტრაგედიის მიზეზი გახდა. შესვენების დაწყებამდე ორივე გუნდის ქომბაგებს შორის შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც 50 წლის ადგილობრივი პოლიციელი დაიღუპა.

ინციდენტის დროს დაპირისპირებული მხარეები შუშის ბოთლებს და პეტარდებს იყენებდნენ, ხოლო ამ დროს ან გარდაცვლილს გული გაუჩერდა. სამართალდამცავი უმაღლეს საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერაფერი გააწყვეს – გონზე არ მოსულა.



ამასობაში უფემამ მომხდარი დაგმო და განსვენებულის ახლობლებს სამძიმარი გამოუცხადა:

„უფეა მკაცრად გამოხს იმას, რაც ბილბაოში მოხდა. ჩვენ კონტაქტზე ვართ ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რომ სიტუაციაში ზუსტად გავერკვეთ. უფეა სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს, კოლეგებს“, – ნათქვამია ოფიციალურ განცხადებაში.

სოციალურ ქსელში განცხადება გაავრცელა აგრეთვე ბილბაოს მერმა ხუან მარი აბურტომ, რომელიც რუსების ბასკეთის დედაქალაქში მორიგი ჩასვლის წინააღმდეგია:

„არ დაბრუნდეთ ბილბაოში! ჩვენ არ გვინდა თქვენი დანახვა. არანაირი ტოლერანტობა. ადამიანები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს, დაისჯებიან!“, – წერს ბილბაოს მერი.

გავლენიანი ესპანური გამოცემა Marca მომხდარს ასეთი სათაურით გამოემართა:

„ბარბაროსობა! აი, რა შეიძლება მოხდეს რუსეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე!“

მოსკოვის „სპარტაკის“ გულშემატკივართა მსგავსი გამოსხდომები არც პირველია და, ადვილი სავარაუდოა, რომ არც უკანასკნელი იქნება. ჯერჯერობით უცნობია, რა სასჯელი ელის რუსულ გუნდს უფასგან, ესპანური მედიის ცნობით კი 5 გულშემატკივარი დაპატიმრებულია.

გიორგი შოთაძე

© რაგბი

დიდი ჯახის წინ



შოტლანდიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გრეგორ თაუნსენდმა 6 ერის ჩემპიონატის მესამე ტურის მატჩისთვის შემადგენლობა დაასახელა.

44 წლის სპეციალისტი იმ მოთამაშეებს დაეყრდნო, რომელთაც მეორე ტურში საფრანგეთის ნაკრების დამარცხება (32:26) მოახერხეს და სასტარტო თხუთმეტეული უცვლელი დატოვა, ხოლო მარტაფაში შემდეგი ტრიო შეცვალა: ჯონ უელშის ნაცვლად უილემ ნილი გამოჩნდა, ბენ ტულისი ტიმ სუინსონმა ჩაანაცვლა, ხოლო კრის ჰარისის მაგივრად ბრძოლაში ნიკ გრიგი ჩაერთვება.

„ნარშავების“ შემადგენლობა ასე გამოიყურება: უკანა ხაზი: 15. სტიუარტ პოგი („გლაზგო უორიორსი“, 56 კეპი), 14. ტომი სიმური („გლაზგო უორიორსი“, 40), 13. პიტ ჰორნი („გლაზგო უორიორსი“, 30), 12. პიუ ჯონსი („გლაზგო უორიორსი“, 12), 11. შონ მეიტლენდი („სარასენსი“, ინგლისი, 31), 10. ფინ რასელი

(„გლაზგო უორიორსი“, 33), 9. გრეგ ლეიდლოუ („კლერმონი“, საფრანგეთი, 59);

შტრკინება: 1. გორდონ რიდი („ლონდონ აირიში“, ინგლისი, 29), 2. სტიუარტ მაკინალი („ედინბურგი“,

14), 3. სიმონ ბერგჰანი („ედინბურგი“, 6), 4. გრანტ გილქრისტი („ედინბურგი“, 20), 5. ჯონ გრეი („გლაზგო უორიორსი“, 40), 6. ჯონ ბარკლი („სკარლეთსი“, უელსი, კაპიტანი, 68), 7. ჰემიშ უოტსონი („ედინბურგი“, 17), 8. რაიან უილსონი („გლაზგო უორიორსი“, 34);

მარტაფა: 16. სკოტ ლოუსონი („ნიუკასლ ფალკონსი“, ინგლისი, 48), 17. ჯეიმი ბათი („გლაზგო უორიორსი“, 5), 18. უილემ ნილი („ედინბურგი“, 19), 19. ტიმ სუინსონი („გლაზგო უორიორსი“, 33), 20. დევიდ დენტონი („კუსტერ უორიორსი“, ინგლისი, 35), 21. ალი პრაისი („გლაზგო უორიორსი“, 12), 22. ნიკ გრიგი („გლაზგო უორიორსი“, 1), 23. ბლერ კინგჰორნი („ედინბურგი“, 0).

შეგახსენებთ, რომ შოტლანდიის ნაკრები 6 ერის მესამე ტურის მატჩში „მარივილდზე“ ინგლისის ნაკრებს უმასპინძლებს და შეხვედრა დღეს თბილისის დროით 20 საათსა და 45 წუთზე დაიწყება.

კობა კოპახიძე

სად, რა, როდის, ვინ?

თარიღი, მოვლენა, შეფასება

1822 წლის 23 თებერვალს კახეთში განლაგებული რუსეთის ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი გიორგი ერისთავი მდინარე ალაზნის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ბელაქანში შეიჭრა, რომლის მცხოვრები ქარელი ლეკები რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდნენ მთელ ჩრდილოეთ კავკასიასთან ერთად, რითაც კახეთს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა. გენერალმა ერისთავმა მოვლენებს დაასწრო, რამაც გაამართლა: რუსთა მძლავრი სამხედრო ძალით დამფრთხალია ლეკებმა შეწყალა ითხოვეს და მიაღწიეს კიდეც. მანამდე რუსებმა რამდენიმე სოფელი გადაწვეს.

1921 წლის 25 თებერვალს გააფთრებული ბრძოლების შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში ბოლშევიკური რუსეთის მე-11 მთელი არმია შემოიჭრა. გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა, რის შედეგადაც ქვეყანა 70 წლით ასცდა განვითარების დემოკრატიულ გზას.



1917 წლის 27 თებერვალს რუსეთში გაიმარჯვა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციამ, რომანოვების 300-წლოვანი მონარქია დაემხო. შეიქმნა სახელმწიფო დუმის (სათათბიროს) დროებითი კომიტეტი გ. რობინაძის ხელმძღვანელობით, მუშაობა დაიწყო პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭომ. დროებითმა ხელისუფლებამ იმავე წლის 7 ნოემბრის ბოლშევიკურ გადატრიალებამდე გაძლო.

1921 წლის 28 თებერვლიდან კონსტანტინე მძვინვარებდა ანტისაბჭოთა აჯანყება, რომელიც ბოლშევიკებმა 18 მარტს სასტიკად ჩაახშვეს.

1944 წლის 28 თებერვალს საბჭოთა ავიაციამ განახორციელა ჰელსინკზე ომის დროს ყველაზე ძლიერი დაბომბვა. 11 საათის განმავლობაში ცდილობდა, ქალაქზე გაჭრილიყო 896 საბჭოთა ბომბდამშენი, მაგრამ წააწყდნენ რა ფინე-



ლი მებრძოლების უძლიერეს გადამოცეცხლს, ისინი უკან დაბრუნდნენ და ბომბები იქ ჩამოყარეს, სადაც მოუხდათ. 5186 ბომბიდან ჰელსინკზე, ისე რომ არ დაუზიანებია არც ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი, ჩამოვარდა მხოლოდ 290.

ღღესასწაული

მართლმადიდებლობის წიმი

25 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდი მარხვის პირველ კვირიას დღესასწაულობს მართლმადიდებელთა ზეიმს.

...ცნობილია, რომ ბიზანტიის სახელმწიფოს გაძლიერების უამს VIII საუკუნეში, იქ წარმოიშვა ახალი ერესი, რომელიც ხატმებრძოლობის სახელითაა ცნობილი. ხატმებრძოლება მთელი საუკუნის მანძილზე გრძელდებოდა.

ალსანიშნავია, ისიც რომ იოანე და მასკელმა ხატმებრძოლობის საწინააღმდეგოდ ხატსა და მის თაყვანისცემაზე მართლმადიდებლური სწავლება ჩამოაყალიბა.

842 წელს მოიწვიეს კრება. მისი აქ-

ტები ეფუძნებოდა მეშვიდე მსოფლიო კრების დადგენილებებს, ადგილობრივმა კრებამ ხატმებრძოლობა დაგმო, ხატთა თაყვანისცემა აღადგინა და მართლმადიდებლობის ზეიმი გამოაცხადა, რომელსაც, იმ დღიდან მოყოლებული მართლმადიდებელი ეკლესია ყოველ წელიწადს, დიდი მარხვის პირველ კვირიას დღესასწაულობს.

საგულისხმოა ისიც, რომ მართლმადიდებლური სარწმუნოების ქვეყნობას ხილული ნიშნები – სასწაულებიც მოწმობენ, მაღლმოსილი ცეცხლის გადმოსვლა მაცხოვრის საფლავზე, ნათლისღების დღესასწაული, ფერისცვალების დღესასწაულზე – როცა მოწმენდილ ცა-



ზე აუცილებლად გამოჩნდება ღრუბული თაბორის მთაზე.

გილოცავთ მართლმადიდებლობის დღესასწაულს!

გიული ლიპარტია

გოაში წმინდა ქეთევან დედოფლის სსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფესტივალის გაიშარტება

23 თებერვლიდან 4 მარტის ჩათვლით, ინდოეთის რესპუბლიკაში გოას შტატში წმინდა ქეთევან დედოფლის სსოვნისადმი



მიძღვნილი მსოფლიო საკრალური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი „ქეთევანი“ ჩატარდება.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით მუსიკალური პროექტი საელჩოს უშუალო ჩართულობითა და მხარდაჭერით ხორციელდება.

პროექტის ორგანიზატორების განცხადებით, აღნიშნული ფესტივალის რელიგიისა და მუსიკის ჰარმონიულ თანაარსებობას განსახიერებს, რომლის შთაგონების წყაროც ქეთევან დედოფლის ცხოვრების ისტორიაა.

ფესტივალის ფარგლებში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მუსიკოსებთან ერთად მსმენელთა წინაშე წარსდგება ქართველ მგალობელთა გუნდი „ალსავალი“. კონცერტები ჩატარდება იმ ადგილზე, სადაც წმ.დედოფლის ნაწილები იქნა აღმოჩენილი.

მსოფლიო საკრალური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი პირველად 2016 წელს გაიმართა და სისტემატური ხასიათი მიიღო.

პური – პირველადი მოთხოვნილების პროდუქტი

50-წლიანი გამოცდილება მაძლევს იმის საფუძველს, რომ საზოგადოებას განმარტება მიეცეს, რა ხდება ამ ეტაპზე პურის ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ სამეწარმეო ტარიფები ელექტროენერგიაზე, ბუნებრივ აირსა და წყალზე განსხვავებულია (მეტობით) მოსახლეობის არსებულ ტარიფთან შედარებით. თუ სხვა ქვეყნებს შევადარებთ, სამეწარმეო ტარიფები პირიქით, დაბალია (ამის შემდგომ არ გებადებათ კითხვა, როგორ უწყობენ ხელს ჩვენს მეწარმეებს?)

პურის თვითღირებულება ყალიბდება ფქვილის, წყლის, ენერგომატარებლების, გადასახადების, ხელფასების, სატრანსპორტო ხარჯის, მარილის, საფუარის და დამხმარე მასალების, მეწარმის მოგებისა და რეალიზატორის მოგების ხარჯზე. ყოველივე ამაზე გავლენა იქონია დოლარის ღირებულების ცვალებადობამ, ისევე როგორც მორიგემა მატებამ წყალზე და ელექტროენერგიაზე. დღეს ხშირად გვეკითხებიან, პურმა მოიმატა თუ არა?

მეწარმეთა ნაწილი, ვინც კარგად გამოიყენა დრო და მომენტი, შექმნა საკმაოდ მძლავრი სანარმო, შესაბამისად ფასიც დღეს მისაღებ აქვს (80-90 თეთრი) და ასეთი სანარმოებისგან ფასის ცვალებადობას აზრი არა აქვს. პურზე ფასის ცვალებადობა საკმაოდ მტკივნეულად აღიქმება როგორც მოსახლეობაში, ასევე სანარმოში, რადგანაც ეს დაკავშირებულია ვაჭრობასა და დისტრიბუციასთან პრობლემები მიივივით იწყობა და იშლება. დამეთანხმებით, პრობლემა არავის არ აწყობს! ფასის ცვალება-



დობა, უპირველეს ყოვლისა, ქართული პურის საცხოვრებლად შეეხსო, რადგანაც 350 გრამიანი შოთი 70-80 თეთრია, იანგარიშეთ, რა გამოდის კილოგრამის ფასი, რომლის თვითღირებულება დღეს ლარი და 30 თეთრია. ასევე გაუჭირდა იმ საცხოვრებლად, რომელთა პროდუქტია 40-50 თეთრია, ცხოვრებამ და სიტუაციამ მათაც რეალიზაციას უზიდა.

შესაძლებელია, მკითხველს დაებადოს შეკითხვები – რაში ვხედავთ გამოსავალს, სად დევს რეზერვები, როგორ არის შესაძლებელი, მეწარმე შეინარჩუნოს პურის ფასი?

კარგი იქნებოდა გადაგვეხედა ხორბლის ტრანსპორტირებისთვის, რომელსაც ბათუმთან თბილისში 1 ტონას 30 დოლარი ემატება. თუ ადგილობრივი ფქვილის გადამამუშავება გვსურს, მაღალია ელექტროენერგისა და წყლის ტარიფი. ბევრმა არ იცის, რომ რაიონებ-

ში განსაკუთრებით გაუჭირდათ საცხოვრებლად ბუნებრივი აირის სამეწარმეო ტარიფების გამო.

დღეს, როდესაც 1 ტონარა ფქვილი 35-36 ლარი ღირს, ჰგონიათ, რომ ეს კარგი ფასია, თუმცა, მცირე სანარმოები მეორე და მესამე ხელიდან იძენენ ფქვილს, რაც ფასს საკმაოდ აძვირებს.

ინფორმაციისთვის ისიც მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ

დამატებითი ღირებულებების გადასახადი, რომელიც ჩვენში 18%-ია, უცხოეთში 9%-ს არ აღემატება. უფრო მეტიც, მაგალითად მეზობელმა აზერბაიჯანმა პურზე დღეს, როდესაც ეკონომიკური პრობლემები გაჩნდა, საერთოდ შეაჩერა. მინდა, ყველა კომპანიამ და განსაკუთრებით საგადასახადო სამსახურებმა უფრო მეტი ანგარიში გაუწიონ პურპროდუქტების სანარმოებს, რომლებიც კროსვორდულ მდგომარეობაში უმკლავდებიან რეალიზაციას (ერთი დღე მეორეს არ ჰგავს), გადასახადებელი და უფრო მეტად განსავითარებელია ბეჭდის სანარმო, რადგან არასოდეს მიეცათ ამის საშუალება! სამოქალაქო დაპირისპირება, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი, ენერგოდეფიციტი, პრობლემები ფქვილზე, დოლარის ცვალებადობა... რომელი ერთი ჩამოვთვალო!..

რა ქნას მცხოვრებელმა! მას მხოლოდ ერთ გზას ვუტოვებთ – პროდუქტის გაძვირებას, მერე კი არ მოგვწონს. პური ხომ პირველადი მოთხოვნილების პროდუქტია! მართალი ბრძანდებით, მაგრამ გამოსავალი არ არის!

მალხაზ დოლიძე, საქართველოს პურის მრეწველთა კავშირის თავმჯდომარე, გექნიკის მეცნიერებათა დოქტორი

